# ალია



## კერძო მევახშეებთან ნაღდი ანგარიშსწორება იკრძალება

N142/3072/ 26-29 სექტემბერი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი — ქრონიკა; სამშაბათი — ალია; ოთხშაბათი — ალია; ხუთშაბათი — ალია; პარასკევი — ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## რა მოიგო საქართველომ ღარიბაშვილის გაეროში ვიზიტით



## „ნაცმოძრაობის“ ლიდერების კომპანიები და პირადი ანგარიშები ოფშორებში



როგორ აპირებს პროკურატურა გასაიდუმლოებული ანგარიშების გახსნას

## კოალიცია „ქართული ოცნების“ რომელი ჯგუფი აპირებს სააკაშვილის გადარჩენას?

რას უყვება „ალიას“ უმრავლესობის დეპუტატი ლორთქიფანიძე



## ადვოკატი მამუკა ნოზაძე: „მე მაქვს ინფორმაცია, რომ არსებობს დასაკავებელთა სია“



## ციხეებში სიტუაცია ძალიან დაიძაბა

ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი „საბოტაჟნიკებს“ ასახელებს



## „მარშრუტკებისა“ და ავტობუსების მძღოლები მერიისგან კაბალური კონტრაქტების შეცვლას მოითხოვენ



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საწვავის ფასს „ვისოლიც“ ამცირებს




ბენზინის ფასს თავის ქსელში, „გალფისა“ და „ლუკოილის“ გარდა, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიაც“ ამცირებს. კომპანიის გენერალური დირექტორის, ვასილ ხორავას განცხადებით, ფასების კლება საერთაშორისო ბაზარზე საწვავის გაიაფების ტენდენციით არის გამოწვეული.

„შესაბამისად, კომპანია „ვისოლმა“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეამციროს ფასები 3-დან 5 თეთრამდე სხვადასხვა პროდუქციაზე“, – განაცხადა ხორავამ. მისივე თქმით, თუ საერთაშორისო ბაზარზე ფასის კლების ტენდენცია გაგრძელდა, მაშინ ფასები კომპანიის ქსელშიც დაიკლებს. (news.ge)

## ვინ არის მურად მარგოშვილი, რომელიც აშშ-მ საერთაშორისო დონის ტერორისტად აღიარა



წარმოშობით ქისტი მურად მარგოშვილი, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ საერთაშორისო ტერორისტთა სიაში მოხვდა, 1972 წლის 26 მაისს ახმეტის რაიონის სოფელ დუისშია დაბადებული. ის მრავალი სახელითაა ცნობილი – „მუსლიმ აბუ ვალიდ შიშანი“, „მუსლიმი“, „აბდურაჰმანი“, „ჯორჯიკა“ და „არტურა“, საქართველოში კი უფრო „ლოვას“ სახელით იცნობენ.

მურად მარგოშვილის სახელი და გვარი აქტიურად გვხვდება რუსულ მედიაში. გავრცელებული ინფორმაციით, რომ ის „კანონიერ ქურდ“ ვეფხია მარგოშვილის (მეტსახელად „პანკისელი ლომის“) ნათესავია. თავის დროზე „პანკისელმა ლომმა“ რუსლან გელაევის სამხედრო მებრძოლებს პანკისში ჩასვლის უფლება მისცა. მედია იუწყება, რომ მარგოშვილის კლანი პანკისის გავლით რუსეთში მიმავალ ნარკოტრაფიკსაც აკონტროლებდა.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თავის დროზე მურად მარგოშვილმა, რომელიც ჩეჩნეთშიც იბრძოდა, ჩრდილოეთ კავკასიაში სამი დივერსიული ჯგუფი – „თალიბანი“, „სახალიფო“ და „ვედენო“ ჩამოაყალიბა. ძალოვანი უწყების ინფორმაციის თანახმად, 2003 წელს მან ინგუშეთში რუსულ სამხედრო კოლონაზე თავდასხმა განახორციელა, რასაც 6 ჯარისკაცი ემსხვერპლა. გარდა ამისა, რუსეთის შსს ასევე იუწყება, რომ სწორედ მურად მარგოშვილია ჩრდილოეთ ოსეთის მოზდოკის სამხედრო აეროდრომზე განხორციელებული ტერაქტის ორგანიზატორი. მურად მარგოშვილმა საქართველოს ტერიტორია დაახლოებით 2012 წელს დატოვა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## 28 სექტემბერს თბილისსა და რეგიონებში ცოფის საწინააღმდეგო უფასო ვაქცინაცია ტარდება




სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო ცოფთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 28 სექტემბერს თბილისსა და რეგიონულ ცენტრებში განახორციელებს ძაღლებისა და კატების უფასო პროფილაქტიკურ ვაქცინაციას.

ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩატარდება შემდეგ მისამართებზე:

1. ბათუმი. გოგებაშვილის №46 ა (ილია სირაბიძე – 591 11 34 04);
2. ოზურგეთი. გაბრიელ ეპისკოპოსის №3 (კახა თავბერიძე – 591 91 48 38);
3. ზუგდიდი. ჯანაშიას №1 (მარიკა გულუა – 595 22 11 08);
4. ქუთაისი. ნიკეას მე-3 ჩიხი №5 (ფიქრია ჭლიკაძე – 591 11 34 73);
5. ახალციხე. ახალქალაქის გზატკეცილი, ტბის მიმდებარე ტერიტორია (ლია ბექაური – 595 22 11 65);
6. გორი. ბარნოვის №9ა (გოგა ტურაშვილი – 599 85 06 65);
7. მცხეთა. დავით აღმაშენებლის №51 (ზაზა ტოგონიძე – 595 22 11 61);
8. რუსთავი. მარის არხის I დასახლება №150 (მირანგულა ლიპარტელიანი – 595 19 48 00);
9. თელავი. ალაზნის გამზირი (ზურა ვეფხიშვილი – 595 22 11 13);
10. თბილისი (ცეზარ მაჩიტიძე – 595 22 66 55, ზაზა ფილია – 577 08 07 63);

ა. სურსათის ეროვნული სააგენტო, მარშალ გელოვანის №6ა (გიორგი ბუცხრიკიძე – 577 08 07 18)

ბ. ვაკის პარკის დირექციის მიმდებარე ტერიტორია (ირაკლი აბელაშვილი – 591 99 65 27)

გ. ორხევი, ყოფილი საბაჟო დეპარტამენტის ტერიტორია, მუხაძის №9 (ნოდარ მაღრაძე – 599 91 28 65)

დ. კონიაკის ქარხნის მიმდებარე ტერიტორია, სარაჯიშვილის №3 (ვალერი თაბაგარი – 599 16 89 33). (რეპორტიორი)

## საქართველო იარაღით ვაჭრობის საერთაშორისო კონვენციას უერთდება



საქართველო იარაღით ვაჭრობის საერთაშორისო კონვენციას უერთდება, რომელსაც ხელი ნიუ-იორკში ხვალ მოეწერება. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის განმარტებით:

„ეს არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ახდენს პრევენციას ჩვეულებრივი შეიარაღებისა და ამუნიციის გაყიდვის, საზღვრის კვეთის და სხვა არალეგალური მოძრაობის საკითხებს. მნიშვნელოვანია, რომ რაც მეტი საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი ქვეყანა იქნება ხელშეკრულების წევრი, მით მეტი იქნება გარანტია, რომ არ მოხდება იარაღით უკანონო ვაჭრობა. ამ საერთაშორისო ვალდებულებით საქართველო უერთდება საერთაშორისო თანამეგობრობის დიდ ნაწილს და მათ, ვინც მისი რატიფიკაცია უკვე მოახდინა“, – აღნიშნა ზალკალიანმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მინისტრებისა და მათი მოადგილეების შემოსავალი 2013 წელს

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ქონებრივი დეკლარაციების საფუძველზე, რამდენიმე მინისტრისა და მათი მოადგილეების მიერ გასულ წელს მიღებული შემოსავლები დათვალა.

სოფლის მეურნეობის მინისტრის, ოთარ დანელიასა და მისი მეუღლის შემოსავალი სხვადასხვა ანაზღაურებადი საქმიანობიდან 2013 წლის განმავლობაში, 120 000 ლარამდე იყო, რაც თვეში დაახლოებით 10 000 ლარს შეადგენს. დეკლარაციაში არ არის მითითებული დანელიას შემოსავალი მინისტრის ან მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე, რადგან დეკლარაცია მის ამ თანამდებობებზე ყოფნის პერიოდებს არ მოიცავს. სოფლის მეურნეობის სამინისტროში დანიშვნამდე დანელია შინაგან საქმეთა სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე იყო და 2013 წელს ამ თანამდებობაზე მისი ანაზღაურება 81 070 ლარს შეადგენდა. ის ოთხი სხვადასხვა კომპანიის მეწილეა, თუმცა, სამეწარმეო საქმიანობიდან შემოსავალი დეკლარირებული არ აქვს. მისი დეკლარირებული დანაზოგი ნაღდი ფულის სახით 7000 აშშ დოლარსა და 4000 ლარს შეადგენს, ასევე ის ფლობს 6 500 აშშ დოლარისა და 1 500 ლარის ოდენობის თანხას საბანკო ანგარიშებზე. მინისტრის ქონებას 2014 წელს თბილისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე 161,84 კვ.მ ფართობის ბინა, დაბა შინდისში 600 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი და 265 კვ.მ ფართობის მშენებარე სახლი შეემატა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს 2013 წელს შევსებულ დეკლარაციაში, წინა (2012) წლის შემოსავლად 34 709 ლარი აქვს მითითებული, რაც, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ვარაუდით, წლის ბოლო ორ თვეზე ნაწილდება, რადგანაც კვირიკაშვილი 2012 წლის ოქტომბრის ბოლოდან დაინიშნა თანამდებობაზე. ამას გარდა, მინისტრს დეკლარირებული აქვს 9300 ლარი ნაღდი ფული და 3700 ლარი ნაშთი საბანკო ანგარიშზე. გარდა ამისა, კვირიკაშვილმა 2012 წელს 155 000 ლარის და 55 000 აშშ დოლარის შემოსავალი უძრავი ქონების გაყიდვიდან მიიღო.

2014 წლის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის მიერ წინა წელს მიღებული შემოსავალი სხვადასხვა ანაზღაურებადი საქმიანობიდან დაახლოებით 67 000 ლარი იყო, რაც თვეში 5 580 ლარია. ჭიკაიძემ 2013 წლის ნოემბერშივე თბილისში, მიცკევიჩის ქუჩაზე, 293 კვ.მ ფართობის მშენებარე ბინა 169 000 აშშ დოლარად შეიძინა.

იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა 2012 წელს, ჯამში, 30 527 ლარის შემოსავალი მიიღო, რაც თვეში, საშუალოდ, 2 543 ლარია. ამას გარდა, მინისტრსა და მის მეუღლეს საბანკო ანგარიშებზე 7 200 ლარი და 600 აშშ დოლარი აქვთ დეკლარირებული.

რაც შეეხებათ მინისტრების მოადგილეებს: ჯანდაცვის მინისტრის პირველ მოადგილე დიმიტრი მახათაძეს 2013 წლისა და 2014 წლის დეკლარაციებში დაახლოებით 240 000 ლარის



შემოსავალი აქვს დეკლარირებული (ეს შემოსავლები მან 2012 და 2013 წლებში მიიღო), როგორც მინისტრის მოადგილეს კი, 2014 წლის დეკლარაციის მიხედვით 45 595 ლარი (ეს 2013 წლის მანძილზე მიღებული შემოსავალია). მას და მის მეუღლეს ასევე დეკლარირებული აქვთ ნაღდი ფული 7 500 აშშ დოლარი, 5 000 ლარი და 8 000 ევრო, ასევე, დაახლოებით 2 000 ლარი ნაღდი ფული.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ხუციშვილსა და მის მეუღლეს წინა წლის შემოსავლებში სხვადასხვა ანაზღაურებადი სამუშაოდან დაახლოებით 111 000 ლარი აქვთ მიღებული. ხუციშვილის დეკლარაცია არ ასახავს მისი, როგორც მინისტრის მოადგილის შემოსავლებს, რადგან დეკლარაცია მის დანიშვნამდე პერიოდს მოიცავს. მინისტრსა და მის მეუღლეს ასევე დეკლარირებული აქვთ თანხა საბანკო ანგარიშებზე 18 296 ევროს ოდენობით.

2013 წლის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილს გასული წლის შემოსავლებში დაახლოებით 38 000 ლარი აქვს დეკლარირებული. აზმაიფარაშვილსა და მის მეუღლეს თანხები საბანკო ანგარიშებზეც აქვთ 32 000 ლარი, 17 380 აშშ დოლარი, 8 057 ევრო და 40 000 სინგაპურული დოლარი (დაახლოებით 32 000 აშშ დოლარი.)

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძეს 2012 წელს დეკლარაცია შევსებული აქვს, როგორც მინისტრის ყოფილ მოადგილეს, 2013 წელს კი – როგორც მოქმედს. იმავე დეკლარაციაში ჯანელიძესა და მის მეუღლეს, მეუღლის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ჩათვლით, ჯამში, დაახლოებით 147 000 ლარის შემოსავალი აქვს დეკლარირებული. მათ საბანკო ანგარიშებზე კი დაახლოებით 7 000 აშშ დოლარი და 47 000 ლარი ირიცხება.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილს, 2014 წელს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, როგორც მინისტრის მოადგილეს, წლის მანძილზე 62 288 ლარი აქვს მიღებული. მას 127 000 ლარის ოდენობის ნაღდი ფულიც აქვს დეკლარირებული, საბანკო ანგარიშებზე კი დაახლოებით 6 000 აშშ დოლარი და 5 500 ლარი ერიცხება. 2013 წელს შევსებულ დეკლარაციაში, გალეგაშვილს სამეწარმეო საქმიანობიდან 130 000 ლარის შემოსავალი აქვს მითითებული, 2014 წლის დეკლარაციაში კი სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მას მითითებული აღარ აქვს. გალეგაშვილი ორი კომპანიის მეწილეა. (რეპორტიორი)

# რა მოიგო საქართველომ ღარიბაშვილის გაეროში ვიზიტით

იმას, ვინ წავიდოდა გაეროს 69-ე ასამბლეაზე — პრეზიდენტი თუ პრემიერი, კინაღამ სახელისუფლებო კრიზისი მოჰყვა და იმდენად დიდი იყო ამ საკითხით გამოწვეული სკანდალი, რომ, ფაქტობრივად, გადაჩრდილა 69-ე ასამბლეა და მისი შინაარსი.

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** ამ ვიზიტის მნიშვნელობაზე „ალიას" კითხვებს პასუხობს...

**— რამდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქვეყნისთვის გაეროს 69-ე ასამბლეა?**

– რასაკვირველია, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ პრაქტიკულად მთელმა მსოფლიომ, გაეროს წევრმა ქვეყნებმა გაიცნეს საქართველოს ახალი პირველი პირი, ამ კუთხით ეს ითვლება ძალიან მნიშვნელოვან მოვლენად, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ჰქონდა შესაძლებლობა, პირდაპირი კონტაქტი დაემყარებინა უცხოელ ლიდერებთან.

**— პრემიერის ვიზიტის ფონზე მოხდა სამწუხარო ინციდენტი, როცა „ანატომიის" წამყვანმა განაცხადა, რომ პრემიერის ცოლის ნათესავი ზვიად ჯანყარაშვილი მას დაემუქრა. როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა რეალურად მუქარა და ვის აწყობდა იმის დემონსტრირება, თითქოს საქართველოში ჟურნალისტებს ხელისუფლება ავიწროებს?**

– რაც მოხდა, ეს არის ძალიან ცუდი, როცა ბრალდებები სისტემურ ხასიათს იღებს. ეს ქალბატონი ჟურნალისტი ამბობს, რომ სააკაშვილის დროს მას არ მოხვედრია და ასე ღიად მას არ ემუქრებოდნენ. აი, აქ ჩნდება კითხვის ნიშნები და ეს უფრო შურისძიებას ჰგავს. როგორც ჩანს, ქალბატონ ჟურნალისტს ვიღაცამ აწყენინა.

**— მიქიაშვილის ბრალდებები ბურუსითაა მოცული. „ალიას" სანდო წყარო დაუკავშირდა, რომელმაც ამ ამბის სკანდალური დეტალები მოგვაწოდა. მინდა თქვენც და მკითხველმაც ეს ამბავი გაიგოთ: ნათია მიქიაშვილი წლების მანძილზე მეგობრობდა პრემიერის სიმამრთან თამაზ თამაზაშვილთან, შესაბამისად, ის ძალიან კარგად იცნობდა თამაზაშვილის დისშვილ ზვიად ჯანყარაშვილს, რომელიც თურმე მას დაემუქრა, და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს. თამაზ თამაზაშვილმა თავის დროზე ნათია მიქიაშვილი დედოფლისწყაროში საპატიო მოქალაქის სტატუსით დააჯილდოვა. რაც შეეხება მუქარას, კახი კალაძის ბანკის ხელმძღვანელთან ილა კეჭაყმაძესთან დაუჩივლია ზვიად ჯანყარაშვილს, რომ მისი ახლობელი ჟურნალისტი ნათია მიქიაშვილი ამზადებდა მასზე გადაცემას ისე, რომ დოკუმენტებიც არ ჰქონდა, რაც მის იმიჯს შელახავდა. ისიც უთქვამს, რომ მიქიაშვილი, სავარაუდოდ, ვიღაცის დავალებას ასრულებს და არ მინდა ჩვენ შორის ბზარი გაჩნდესო. კეჭაყმაძე, თავის მხრივ, მიქიაშვილს დაკავშირებია და უთქვამს, რომ ზვიად ჯანყარაშვილი ამ ამბავს ძალიან განიცდიდა. მიქიაშვილმა ეს მუქარად ჩათვალა და პრესკონფერენცია მოაწყო. ამ ყველაფერს წინ უძღოდა**



**რომ გადაცემა „ანატომია", სავარაუდოდ, „რუსთავი 2"-ის ეთერში გავიდოდა. ძალიან უცნაურად დაემთხვა დროში ნინო შუბლაძის წასვლა „რუსთავი 2"-დან. გვაქვს ინფორმაცია, რომ შუბლაძეს პროტესტის ნიშნად დაუტოვებია არხი, როცა კი გაუგია, რომ მიქიაშვილის გადაცემა ამ არხზე გავიდოდა. აი, სულ ეს არის ამ ამბის ანატომია...**

– თქვენ ძალიან მნიშვნელოვან დეტალებზე ისაუბრეთ, ეს მართლაც საინტერესოა მკითხველისთვის, რომ შეიქმნას ობიექტური სურათი. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ინციდენტები არც ერთ მხარეს ღირსებას არ მატებს. ჟურნალისტს, რაც არ უნდა ახლობელი იყოს, სულ უნდა გახსოვდეს, რომ ის არის ჟურნალისტი და არ უნდა მისცე საბაბი. მე ადამიანურად მესმის ზვიად ჯანყარაშვილის, რომ შესაძლოა, მას სწყენოდა, ასეთი გადაცემის შესახებ რომ გაიგო, მაგრამ უნდა გაატარო და რაც მთავარია, ისე უნდა მოიქცე, რომ ჟურნალისტს საბაბი არ მისცე, შენზე კომპრომატები მოაგროვოს. თუ ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიული ქვეყანას, ყოველ ნაბიჯს უნდა აკონტროლებდე, როცა გქვია საჯარო მოხელე.

აქვე მინდა პრეზიდენტ მარგველაშვილის გამოსვლას შევეხო, გრიგოლიას გადაცემაში ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერი ხდებოდა. არადა, ხელისუფლების შტოებს შორის სიღრმისეული დაპირისპირება და პრობლემაა. გამოვიდეს პრეზიდენტი და კაცურად თქვას, რომ რაც ქვეყანაში ხდება, არ მოსწონს... ის ზღაპრები, რასაც გვიყვება, მოუყვეს თავის სოროსელ ძმაკაცებს. ამბობს, ოპოზიციაში არ წავალ, არც პრეზი-



**„მარგველაშვილს გრიგოლიას გადაცემაში ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერი ხდებოდა. არადა, ხელისუფლების შტოებს შორის სიღრმისეული დაპირისპირება და პრობლემაა. გამოვიდეს პრეზიდენტი და კაცურად თქვას, რომ, რაც ქვეყანაში ხდება, არ მოსწონს... ის ზღაპრები, რასაც გვიყვება, მოუყვეს თავის სოროსელ ძმაკაცებს. ამბობს ოპოზიციაში არ წავალ, არც პრეზიდენტობიდან გადავდგები, უბრალოდ, ემოციურად გავნაწყენდიო"**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „აფხაზთა კრების" მხარდამჭერი ახალგაზრდები ირაკლი შიხიაშვილს ამხელენ



26 სექტემბერს „აფხაზთა კრების" საორგანიზაციო ჯგუფი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და პოლიტიკოსები გვიან საღამოს აფხაზეთში დაღუპული გმირების მემორიალთან სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებულ აქციას მართავენ. როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, მსგავსი ტიპის აქცია საქართველოში არ ჩატარებულა, კერძოდ, მონაწილეები ზუსტად იმ დროისთვის, როცა 26 სექტემბერს სოხუმზე შეტევა დაიწყო, ხმამაღლა წაიკითხავენ იმ დაღუპული მეომრების სახელებსა და გვარებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას შეეწირნენ.

აქციის მონაწილე ახალგაზრდებმა ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილისგან ითხოვეს დაღუპული მებრძოლების სრული სიის გადაცემა, რაზეც შიხიაშვილმა უარი განაცხადა. რა მიზეზით არ გასცა ირაკლი შიხიაშვილმა აფხაზეთში დაღუპული მეომრების სია, ამ დრომდე უცნობია.

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, რამდენიმე დღე დადიოდნენ სიის მისაღებად, თუმცა უშედეგოდ. „დღეს გაირკვა, რომ შიხიაშვილმა უარი განგვიცხადა დაღუპული მებრძოლების სიის გადმოცემაზე. რა თქმა უნდა, სია ჩვენ გვაქვს, ვიწვალეთ და რამდენიმე ათასი დაღუპულის გვარ-სახელი მოვიპოვეთ და აქციაც შედგება, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია მსგავსი დამოკიდებულება, ეს არის აფხაზეთში დაღუპული გმირების ხსოვნის უპატივცემულობა", – აცხადებენ ახალგაზრდები. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სფფ-ის სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელობა გადადგა

სფფ-ის სამსაჯო განყოფილება სრული შემადგენლობით გადადგა. როგორც ფეხბურთის ფედერაციის განცხადებაშია ნათქვამი, სამსაჯო განყოფილების სრულმა შემადგენლობამ ფედერაციის პრეზიდენტს თანამდებობებიდან განთავისუფლების თხოვნით თავად მიმართა.

ზვიად სიჭინავამ სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების განცხადებები უკვე დააკმაყოფილა. სფფ-ის სამსაჯო განყოფილებაში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით ფედერაცია ინფორმაციას უახლოეს დღეებში გაავრცელებს.

სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების გადაწყვეტილება გარიგებულ თამაშებთან დაკავშირებულ სკანდალსა და 8 მსაჯის დაკავებას უკავშირდება. (რეპორტიორი)

*მესამე გვერდიდან*

დენტობიდან გადავდგები, უბრალოდ, ემოციურად გავნაწყენდიო. რას ჰქვია განაწყენდი, 45 წლის კაცი ხარ და ქვეყნის პრეზიდენტი გქვია, მერვეკლასელი ბავშვი ხარ, რომელიც მამას გაუნაწყენდა, მაგრამ მამას რომ აღარ უნდა შენთან შერიგება?!. აქ უკვე აღარაფერია გამოსავალი. თუ ამას გამოსავალი ჰქვია, ისაა, რომ ეს სამი წელი მარგველაშვილმა რამენაირად უნდა გაიტანოს და მაგის პოლიტიკური კარიერა ამით დასრულდება.

**— ამ კვირის საერთაშორისო პოლიტიკის სკანდალის ავტორი ამერიკაში საქართველოს ელჩი არჩილ გეგეშიძეა, დასავლურ მედიასთან ინტერვიუში მან განაცხადა, რომ საქართველომ ამერიკას სირიელი მეამბოხეების გაწვრთნა ჩვენს ტერიტორიაზე შესთავაზა. ამას დაემატა კიდევ ახალი სკანდალი, პანკისელი, წარმოშობით ქისტი მურად მარგოშვილი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ საერთაშორისო ტერორისტთა სიაში მოხვდა. ეთამაშება თუ არა ცეცხლს ალასანიას უწყება?**

– მოდით, გეტყვით ერთ რამეს, დღეს საქართველოში გაჩნდა ამერიკის ფავორიტის ვაკანსია, საქართველოში გამოჩნდნენ პოლიტიკოსები, ვისაც უნდათ ჩაანაცვლონ მიშა სააკაშვილი ამერიკის გეგმებში. ამერიკის მომავალ ხელისუფლებასაც ისე დასჭირდება საქართველოში თავისი ფავორიტი, როგორც ეს სჭირდებოდა ბუშს და შემდეგ, ბარაკ ობამას. ისინი ყოველთვის ეძებენ შემცვლელს. ვინაიდან ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტი დღევანდელ ხელისუფლებას მაინცდამაინც კარგი თვალით არ უყურებს, ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, რომ ზოგიერთი ქართველი ცდილობს, ამერიკელზე მეტი ამერიკელი იყოს. თავის დროზე ძალიან სარისკო იყო ალასანიას ინიციატივა ანტისარაკეტო საჰაერო დაცვის სისტემების განლაგებაზე. კიდევ კარგი, რომ ჩაიშალა. ასევე ძალიან სარისკო ინიციატივაა, სირიელი მეამბოხეების საქართველოს ბაზებზე გაწვრთნა. ელჩი არჩილ გეგეშიძე არის კაბინეტის მეცნიერი და როგორც დიპლომატი, ნულია... თუ ცალი ხელით დღევანდელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რუსეთთან დარეგულირდეს ურთიერთობა, მეორე ხელით, ასადის საწინააღმდეგო ბანაკის გახსნა პუტინზე იმოქმედებს ისე, როგორც ხარისთვის წითელი ნაჭრის აფრიალება. თუ დღეს ასადი კიდევ პრეზიდენტია და დამასკოში ზის, ამისთვის პუტინს უნდა უმადლოდეს. ამ ღონისძიების ინიციატივაც კი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გაიწვრთნან სირიელი მეამბოხეები, ანტირუსული იყო. ახლა უკვე თავის მართლებასა და იმის ლაპარაკს, რომ ასეთი რამ არ თქმულა, აზრი არა აქვს. ამ ინიციატივამ თავისი საქმე უკვე გააკეთა. დარწმუნებული ვარ, თვითონ ამერიკელებმა შეიკავეს თავი, რუსეთი რომ არ გაღიზიანებულიყო. ამერიკა მშვენივრად გამოძებნის ბანაკებს იგივე არაბულ ქვეყნებში, მას ზედმეტი თავის ტკივილი არ სჭირდება.

**— გამოდის, რომ არაკვალიფიციურ დიპლომატებთან გვაქვს საქმე?**

– როდესაც საგარეო საქმეთა უწყებასა და თავდაცვის უწყებას შორის ძალიან ახლობლური კომუნიკაციაა, ეს საერთოდ ძალიან ცუდია. საგარეო საქმეთა სამინისტრო იმისთვის არსებობს, რომ თავდაცვის უწყებაში ან სადმე თუკი სარისკო ინიციატივა ჩნდება, მან უნდა დაბლოკოს. ამ დროს მინისტრი გამოდის და ამბობს,



**„ელჩი არჩილ გეგეშიძე, არის კაბინეტის მეცნიერი და როგორც დიპლომატი, ნულია... თუ ცალი ხელით დღევანდელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს რუსეთთან დარეგულირდეს ურთიერთობა, მეორე ხელით, ასადის საწინააღმდეგო ბანაკის გახსნა, პუტინზე იმოქმედებს ისე, როგორც ხარისთვის წითელი ნაჭრის აფრიალება“**

ასეთი ინიციატივა არ თქმულაო. იმდენს ვერ ხვდება, რომ შეურაცხყოფას აყენებს ამერიკულ მედიას. აი, ამდენს როგორ ვერ ხვდებიან, გაოცებული ვარ. გამოცემის რედაქტორმა თქვენ ნახეთ რა პასუხი გასცა, რომ არ აპირებს უკან წაიღოს თავისი სიტყვები, რომ მათ აქვთ ჩანაწერი, რითიც დასტურდება, რომ გეგეშიძემ პირადად მიაწოდა ინფორმაცია სირიელი მეამბოხეების გაწვრთნის ინიციატივის შესახებ. ბოლოს კი ერთ რამეს გეტყვით და ყურადღება მიაქციეთ, – ამერიკის „რასკლადში“ ვიღაც ეძებს მიშას ადგილს, რაც, რასაკვირველია, კიდევ ახალი შიდა დესტაბილიზაციის მიზეზი იქნება, ვინაიდან დღევანდელი ღარიბაშვილი არ არის შევარდნაძე და რასაც ითმენდა მაშინ შევარდნაძე, ღარიბაშვილ-ივანიშვილის ტანდემი ამას არ მოითმენს.

**— თქვენ ირიბად ურტყამთ ალასანიას და არ გამორიცხავთ, რომ მან ხელისუფლების შიგნიდან სახელმწიფო გადატრიალება მოაწყოს?**

– მე ერთს ვამბობ, საქართველოში დესტაბილიზაციის სერიოზული კერებია. თუ ეს კერები ღარიბაშვილმა არ ჩააქრო, უფრო გაღვივდება და შეიძლება სავალალო შედეგებითაც დასრულდეს. ღარიბაშვილს არ უნდა დაავიწყდეს, რომ მისი კონკურენტი ყველაფერზე წამსვლელია.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ჯანდაცვა 2 ახალშობილის გარდაცვალების ფაქტზე კომენტარს აკეთებს




ოზურგეთის საავადმყოფოში ორი ახალშობილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტმა დოკუმენტაცია უკვე გამოითხოვა. დეპარტამენტის უფროსის ლადო კეპულაძის განმარტებით, სამედიცინო დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ გაირკვევა, დაექვემდებარება თუ არა გარდაცვლილ პაციენტთა საქმეები შესწავლას.

„ჩვენ მივიღეთ შეტყობინება და ამ ეტაპზე გამოთხოვილი გვაქვს დოკუმენტაცია. როცა მათ მივიღებთ, ადგილზე განხილვისას გამოიკვეთება, შესასწავლია თუ არა საკითხი. ამ შემთხვევაში მივმართავთ სასამართლოს და შევისწავლით. ჩვენთან ასეთი პროცედურებია გასავლელი. ჩვენ გვარებიც ვიცით, სახელებიც, დიაგნოზიც, მაგრამ სანამ პაციენტთა ისტორიებს არ მივიღებთ და არ განვიხილავთ, მანამდე წინასწარი დასკვნების გამოტანისგან თავს ვიკავებთ“, – განაცხადა ლადო კეპულაძემ.

ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში 24 საათის განმავლობაში 2 ახალშობილი გარდაიცვალა. ორივე შემთხვევაში ექიმი-გინეკოლოგი ერთი და იგივე პიროვნება იყო. (რეპორტიორი)

## ინვესტიციების მაჩვენებელი ბოლო 8 წლის მინიმუმამდე დაეცა



2014 წლის მეორე კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა ბოლო რვა წლის მინიმუმამდე დაეცა.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში საქართველოში შემოსული ინვესტიციების რაოდენობა მხოლოდ 2005 წლის მაჩვენებელს აჭარბებს.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2014 წლის მეორე კვარტალში საქართველოში 150 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც 2005 წლის მაჩვენებელს მხოლოდ 45 მილიონი ლარით აღემატება.

აღნიშნულ სტატისტიკას მთავრობა განსხვავებულად ითვლის. ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური აცხადებს, რომ ინვესტიციები კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა.

‘მოხდა ერთი სახეობის ინვესტიციების მეორე სახეობის ინვესტიციებით ჩანაცვლება. მოგეხსენებათ, რომ ‘თიბისი ბანკმა“ გააკეთა ემისია ლონდონის საფონდო ბირჟაზე და 91 მილიონი დოლარის პორტფელური ინვესტიცია შემოვიდა ნაცვლად პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა. ასე რომ, ზოგადად, ინვესტიციების ზრდა არის ქვეყანაში“, – განაცხადა ხადურმა.

პარალელურად, საქართველოს მთავრობა ამერიკელი ინვესტორების დაინტერესებასაც ცდილობს. ამ მიზნით შესაბამისი საინვესტიციო ფორუმიც გაიმართა და ირაკლი ღარიბაშვილმა ამერიკელი ბიზნესმენები საქართველოში დაპატიჟა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო




შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვის ბრალდებით, 1979 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოტიკის უკანონო შეძენა-შენახვისთვის და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის ნასამართლევი რომან ბ. მარნეულში დააკავეს. დაკავებულის ავტომანქანის ჩხრეკისას საბარგულიდან გადაჭრილი თოფი, ე.წ. „აბრეზი“, 3 საბრძოლო ვაზნები, „ეფ-1“-ის ტიპის 1 ხელყუმბარა და ქარხნული წესით დამზადებული 1 ამფეთქი ფალია ამოიღეს. (რეპორტიორი)

## შიხიაშვილმა ვეტერანთა დეპარტამენტი ყოფილი „ნაციონალებით დააკომპლექტა“



გავრცელებული ინფორმაციით, ვეტერანთა საბჭო უკვე დაკომპლექტდა და ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილმა საბჭოში ‘ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი თანამშრომლები დაასაქმა. გავრცელებული ინფორმაციით, ადმინისტრაციის უფროსად ნინო თევდორაძე, მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსად მიხეილ ქავთარაძე, მთავარ მრჩევლად კი ბესო ბენდელიანი დაინიშნენ. ‘პირველი რადიო“ ინფორმაციის გადასამოწმებლად ნინო თევდორაძეს დაუკავშირდა, რომელმაც გვთხოვა, რომ მოგვიანებით დაგვერეკა მისთვის, თუმცა შემდეგ მობილური ტელეფონი გათიშა. (პირველი რადიო)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# კოალიცია „ქართული ოცნების“ რომელი ჯგუფი აპირებს სააკაშვილის გადარჩენას?

## რას უყვება „ალიას“ უმრავლესობის დეპუტატი ლორთქიფანიძე

**„არსებობს ინფორმაცია, რომ „ნაცმოძრაობა“ დღესაც ახორციელებს სატელეფონო მოსმენებს, ეს ძალიან ცუდია. ამას არც პრემიერ-მინისტრი გამორიცხავს, მაგრამ სახელმწიფო ამ დროს რას აკეთებს, ხომ უნდა აღმოფხვრას ეს უბედურება? მე არა მგონია, ამ აპარატურის აღმოჩენა იყოს ძალიან რთული“**

**„კოალიციაში უკვე დაიწყეს საუბარი, როგორ მიმართონ პრეზიდენტ მარგველაშვილს სააკაშვილის შეწყალების თაობაზე, თუკი სასამართლო მას დაუსწრებლად მიუსჯის პატიმრობას. რა თქმა უნდა, თხოვნა ისე უნდა შეიფუთოს, რომ ქართველ ხალხში აგრესია არ გამოიწვიოს – ძიძიგურის გარდა, მალე გამოჩნდებიან სხვა დეპუტატებიც, რომლებიც მოგვიყვებიან დასავლეთში საქართველოს იმიჯის შელახვის თაობაზე“**

გიორგი მარგველაშვილმა სასხვათაშორისოდ თქვა, მე პარლამენტის დათხოვნის უფლებაც მაქვსო. ვილაცებმა გააზვიადეს, – არიქა, მარგველაშვილი პარლამენტის დათხოვნას აპირებსო, ზოგიერთი პანიკაში ჩავარდა, – ხალხო, ვილუპებითო. აქედან გამომდინარე, ექსპერტებმა დაასკვნეს, საპარლამენტო უმრავლესობაში ქაოსია, ყველა დაიზაფრა, ყოველდღე პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ელოდებიანო. ჩვენს საკანონმდებლო ორგანოში რომ სწავლა-განათლების საკითხი სათანადო დონეზე იყოს, ზოგიერთი შეშინებული კონსტიტუციაში ჩაიხედავდა და 73-ე მუხლს წაიკითხავდა:

„საქართველოს პრეზიდენტი საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს; მთავრობის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; მთავრობასთან შეთანხმებით იღებს სხვა სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას“.

დიახ, ეს სწორედ ის მუხლია, მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და რომელიც პრეზიდენტ მარგველაშვილის უფლებებს ლოდივით აწევს ზემოდან და არაფრის გასაქანს არ აძლევს ირაკლი ღარიბაშვილთან მოლაპარაკების გარეშე. სწორედ ეს მუხლი წაუკითხა დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა მარგველაშვილს, როცა ის კონსტიტუციით შეიარაღებული დაადგა თავზე ავლაბრის რეზიდენციაში.

და მაინც, რა შემთხვევაში შეუძლია პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნა? უმრავლესობის წევრის, ვახტანგ ხმალაძის არაერთგზის განმარტებით, ეს არ გახლავთ იოლი საქმე:

„არსებობს პარლამენტის დათხოვნის რამდენიმე წინაპირობა. ამ წინაპირობების არსებობის გარეშე პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება არ აქვს. პირველი – თუ მთავრობას ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება, მაშინ დგება ახალი მთავრობის შექმნის საკითხი. პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, პრემიერ-მინისტრი – მინისტრების კანდიდატურებსა და პროგრამას და ამის შემდეგ პარლამენტმა ნდობა უნდა გამოუცხადოს ახალ მთავრობას. თუ პარლამენტმა ზედიზედ სამჯერ არ გამოუცხადა ნდობა მთავრობის ახალ შემადგენლობას, მაშინ პრეზიდენტს უფლება აქვს, დაითხოვოს პარლამენტი. მეორე – თუ პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა არსებულ მთავრობას, პრეზიდენტს უფლება აქვს, მთავრობა ან გადააყენოს, ან არ გადააყენოს. მაგრამ, თუ მომდევნო 90-ე დღიდან 100-დღემდე შუალედში პარლამენტმა ხელმეორედ გამოუცხადა უნდობლობა მთავრობას, პრეზიდენტს უკვე აქვს უფლება, ან მთავრობა გადააყენოს, ან პარლამენტი დაითხოვოს“.

როგორც ხედავთ, პარლამენტის დათხოვნა დამოკიდებულია მთავრობის ყოფნა-არყოფნაზე, ანუ თუ სამჯერ ზედიზედ ნდობა არ გამოუცხადა მას. მოდით, ახლა იმაზე

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# „საია“-RMG ჯგუფის სასამართლო პროცესი გაურკვეველი ვადით გადაიდო

**ამ ამბავს დიდი ხანია, ოქროს ციებ-ცხელება დაერქვა, რომლის ერთ მხარესაც ბიზნესია, კერძოდ, RMG ჯგუფი, ხოლო მეორე მხარეს უკვე არასამთავრობოები დადგნენ, კერძოდ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელმაც არქეოლოგები ჩაანაცვლა.**

**ორივე მხარეს თავისი სიმართლე აქვს, ერთი აცხადებს, რომ ოქროს მომპოვებელმა კომპანიამ შესაძლოა, აქ სამუშაოების წარმოებით ე.წ. საყდრისის ძეგლი დააზიანოს. კომპანია კი აცხადებს, რომ თავად ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ეკუთვნის სწორედ RMG ჯგუფს, რომელიც თავის უფლებებს იცავს.**

**პირველად დავა მეცნიერების დონეზე მიმდინარეობდა, მაგრამ გაზაფხულიდან საქმეში უკვე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც“ ჩაება.**



**მანამდე, 3 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელეების კახა კოჟორიძისა და დალი მამულაშვილის შუამდგომლობა და შეაჩერა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც კომპანია RMG-იმ საყდრისი-ყაჩაღიანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების უფლება მიიღო. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით კომპანიას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საყდრისი-ყაჩაღიანში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით სამუშაოების წარმოება ეკრძალება. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეების „პოზიცია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეუჩერებლობით, შესაძლოა, მოხდეს ზემოაღნიშნული ობიექტის დაზიანება, რის გამოც შეუძლებელი იქნება მისი პირვანდელი მდგომარეობისა და არქეოლოგიური ღირებულების აღდგენა, შესაბამისად, შეუძლებელი იქნება იმ ინტერესის დაცვა, რომლის დასაცავადაც მოსარჩელეებმა წარადგინეს სასამართლოში სარჩელი“. სასამართლომ მიუთითა, რომ „განსახილველ შემთხვევაში დავის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ზემომითითებული ობიექტის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, ასევე, იმ გარემოს შენარჩუნება, რომელიც განაპირობებს მის ისტორიულ, კულტურულ თუ არქეოლოგიურ ღირებულებას. ამდენად, სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების მიუღებლობის პირობებში, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდება, ვინაიდან აღარ იარსებებს დავის საგანი“.**

24 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა მოსარჩელეების, კახა კოჟორიძისა და დალი მამულაშვილის სარჩელის საფუძველზე, სადაც გასაჩივრებულია კულტურის სამინისტროს პოზიცია, რომელმაც **RMG ჯგუფს** საყდრისში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების ჩატარების უფლება მისცა. ამ სხდომაზე **RMG** წარმოდგენილი იყო მესამე პირად, მთავრობის წარმომადგენელსა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლის შემდეგ. თავიდანვე ვიტყვი, რომ სხდომა რამე სერიოზული გადაწყვეტილებით არ დასრულებულა და მოსამართლე ნათია ბუსკაძემ სხდომა გაურკვეველი ვადით გადადო და შემდგომი სხდომა მხარეებს სასამართლო უწყებით ეცნობება.

**თემურ ოჩიგავა, RMG-ის იურისტი:**

– 24 სექტემბერს გამართულ სასამართლოზე მოსარჩელე მხარემ წამოაყენა შუამდგომლობები: მარინა მიზანდარის საქმისა და კოჟორიძე-მამულაშვილის სარჩელის გაერთიანების შესახებ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მესამე პირად ჩართვის შესახებ, ასევე, კულტურის სამინისტროსა და სააგენტოს შორის გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების დამოწმებული ასლის წარმოდგენის შესახებ, მოწმეების დაბარების შესახებ, მოწვეულ უცხოელ ექსპერტებთან გაფორმებული ხელშეკრულების დამოწმებული ასლის წარმოდგენის შესახებ და, ასევე, საქმის შეჩერების შესახებ, ვიდრე არ გადაწყდება საყდრისი-ყაჩაღიანის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის საკითხი. ამ თემაზე ივნისში უკვე მიღებულია სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც გასაჩივრებულია აპელაციის წესით ყველა მხარის მიერ: **RMG** ჯგუფის, მთავრობის, კულტურის სამინისტროს და „მწვანე ალტერნატივის“ მიერაც. სხდომაზე მოსამართლემ არც ერთი შუამდგომლობა არ განიხილა და, როგორც ცნობილი გახდა, სხდომა გადადო.

*მეხუთე გვერდიდან*

ნუღარ ვიმსჯელებთ, ჩვენი პარლამენტი რას გააკეთებს კრიტიკულ მომენტში, იქ დღეს ნამდვილად არ ზის ის უმრავლესობა, რომელიც მთავრობის წინააღმდეგ წავა. ამიტომ დათხოვნის საკითხი ავტომატურად იხსნება დღის წესრიგიდან. სამაგიეროდ, ქართველ კანონმდებლებს შეუძლიათ, იმპიჩმენტი მოუწყონ საქართველოს პრეზიდენტს და გრიალ-გრიალით გამოიყვანონ ავლაბრის რეზიდენციიდან. ეს შედარებით უფრო იოლია, ვიდრე პარლამენტის დათხოვნა. კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისთვის გადაეცემა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა ან კონსტიტუციის დარღვევა, პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 დღისა, განიხილავს და კენჭს უყრის პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხს. პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. ყურადღება მიაქციეთ ერთ დეტალს, მარგველაშვილის გადაყენების მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ რაიმე სახის დანაშაული, არამედ კონსტიტუციის დარღვევაც, რაც უდავოდ ადვილი „გასაჩალიჩებელია“.

მართალია, დღევანდელ პარლამენტში არც ამის გამკეთებელია ვინმე, მაგრამ, თუკი სწავლა-განათლების დონე გამოსწორდება, მაშინ ჩვენს დეპუტატებს იქით კი არ უნდა ეშინოდეთ, აქეთ უნდა აშინებდნენ პრეზიდენტ მარგველაშვილს. სანამ პრეზიდენტი სიტყვებით თამაშობს და მამალ „ნაციონალებს“ ეკეკლუცება (ბოლოს და ბოლოს, მათ ამერიკაში ერთი პატრონი ჰყავთ), კოალიციაში დეპუტატების ერთი ნაწილი, ზვიად ძიძიგურის თამადობით, იმაზე ფიქრობს, როგორ გადაარჩინოს მიხეილ სააკაშვილი. დიახ, კოალიციაში უკვე დაიწყეს საუბარი, როგორ მიმართონ პრეზიდენტ მარგველაშვილს სააკაშვილის შეწყალების თაობაზე, თუკი სასამართლო მას დაუსწრებლად მიუსჯის პატიმრობას. რა თქმა უნდა, თხოვნა ისე უნდა შეიფუთოს, რომ ქართველ ხალხში აგრესია არ გამოიწვიოს – ძიძიგურის გარდა, მალე გამოჩნდებიან სხვა დეპუტატებიც, რომლებიც მოგვიყვებიან დასავლეთში საქართველოს იმიჯის შელახვის თაობაზე.

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დათო ლორთქიფანიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, უმრავლესობა ნამდვილად არ არის პანიკაში:

„მე ნამდვილად არ შემიმჩნევია, რომ მარგველაშვილის ნათქვამის შემდეგ ვინმე დამფრთხალიყო. ჩემი აზრით, პრეზიდენტმა სიტყვის მასალად თქვა, პარლამენტის დათხოვნის უფლება მაქვსო, მე ვერ ვხედავ, რომ მას ამის გაკეთება ნამდვილად უნდა. მაშინ, როცა ქვეყანაში გვყავს პოლიტიკურ-კრიმინალური ბანდა, რომელიც ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადება და ათასნაირ პროვოკაციას გეგმავს, რა დროს პარლამენტის დათხოვნაზე, ან პრეზიდენტის იმპიჩმენტზე ფიქრია. სწორედ „ნაციონალების“ გეგმის ნაწილია ის, რომ მოსახლეობაც პანიკაში იყოს, პრეზიდენტიც, პარლამენტიც და მთავრობაც. პირდაპირ ვამბობ, ჩვენ საქმე გვაქვს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან, ისინი ყველა მეთოდს იყენებენ და ამის საუკეთესო მაგალითია ეკა კვესიტაძის გამოხტომა „რუსთავი 2“-ის ეთერში. ეს ადამიანი არის ყოფილი „ხერხემლის“ მარჯვენა ხელის პირველი ნახევარი, აქ რომელ ჟურნალისტიკაზეა საუბარი? არსებობს ინფორმაცია, რომ „ნაცმოძრაობა“ დღესაც ახორციელებს სატელეფონო მოსმენებს, ეს ძალიან ცუდია. ამას არც პრემიერ-მინისტრი გამორიცხავს, მაგრამ სახელმწიფო ამ დროს რას აკეთებს, ხომ უნდა აღმოფხვრას ეს უბედურება? არა მგონია, ამ აპარატურის აღმოჩენა იყოს ძალიან რთული“.

დათო ლორთქიფანიძის თქმით, თუ კოალიციაში ვინმეს ეშინია დათხოვნის, ან სურს სააკაშვილის გადარჩენა, გამოდის, რაღაც კერძო ინტერესებთან გვაქვს საქმე, მაგრამ დღეს კონკრეტულად „ქართული ოცნების“ დეპუტაცია ნამდვილად არ ფიქრობს არც სააკაშვილისა და არც სხვა „ნაციონალების“ გადარჩენა-დაპურებაზე. რაც შეეხება ყოფილი პრეზიდენტის შეწყალებას, ეს გამორიცხულია, ამაზე ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები არასოდეს დასთანხმდებიან:

„მე ამჟერად ვლაპარაკობ მხოლოდ „ქართული ოცნების“ დეპუტატების განწყობაზე. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ სანდრა რულოვსმა თქვა, ჩვენ სულ სიკეთეს ვაკეთებდით და ისეთი რა დავაშავეთ, ასე რომ გვექცევიანო? ჩვენი პოზიცია ასეთია: სანდრამ კი არა, მისმა ქმარმა დააშავა, რომელიც იყო პირველი პირი. ქართველ ხალხს რომ ეკითხება, პირველ რიგში თავის მეორე ნახევარს მოჰკითხოს. სააკაშვილმა იმდენი ბოროტება ჩაიდინა, არა მგონია, ვინმემ მისი შეწყალება გაბედოს. ვინ არიან ის ადამიანები, ვისაც სააკაშვილთან რევერანსებით ლაპარაკი სურს? მე პირადად ასეთებს არ ვიცნობ, მაგრამ თუ მაინც არიან, ამაზე ტყუილად ფიქრობენ. ჩვენ ახლა ინტენსიურად ვმუშაობთ იმაზე, რომ პარტია „ქართული ოცნება“ ამოვქოქოთ და გადავიდეთ სერიოზული საქმეების კეთებაზე. ჩვენი სურვილია, მინიმუმ თვეში ერთხელ შევხვდეთ პარტიის თავმჯდომარეს, ირაკლი ღარიბაშვილს. ეს უნდა იყოს არა მხოლოდ კოალიციურ რეჟიმში. უახლოეს დღეებში პოლიტსაბჭო შეიკრიბება, ალბათ, ზვიად ჯანყარაშვილი დაინიშნება აღმასრულებელ მდივნად და დავიწყებთ გაძლიერებულ მუშაობას პარტიული ხაზით. ძალიან ბევრი საკითხია გადასახედი, ძალიან ბევრი რამეა შესაცვლელი და მე იმედი მაქვს, რომ ეს გაკეთდება. იყო მცდელობა, დასაწყისშივე თავდასხმები განხორციელებულიყო ჯანყარაშვილზე, რაზეც მან მწირი პასუხი გასცა. თუ ის დაინიშნება, ამის შემდეგ უკვე ვალდებული იქნება, ვრცელი პასუხი გასცეს ყველა ბრალდებაზე, არც ერთი პრეტენზია არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე. ბოლოს ვიტყვი, რომ პარლამენტის დათხოვნა ასეთი ადვილი არ არის, ეს ძალიან რთული პროცედურაა და არა მგონია, მარგველაშვილის მისი გამოყენება დასჭირდეს“.

**შეიძლება ზოგიერთისთვის ეს სტატია „ვალიდოლი“ აღმოჩნდეს, მაგრამ მოვლენებს თუ კარგად „ჩავუკვირდებით“, კოალიციაში მაინც მიდის დუღილი სააკაშვილის გადასარჩენად. როგორც ავი ენები ამბობენ, მავანნი სერიოზულად ემზადებიან, რომ მარგველაშვილს სააკაშვილის გადასარჩენად ნაბიჯი გადაადგმევინონ. სწორედ ასე გადააწყვეტინეს მას თავის დროზე რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილებაზე ვეტოს დადება, მაგრამ მაშინ ბიძინა ივანიშვილმა გადააფიქრებინა მაგარი ჩხუბის შემდეგ. სწორედ მაშინ უთხრა ივანიშვილს, ყ...ზე მკიდია შენი უმრავლესობაო. კი, ბატონო, ცვლილებებს ვეტო აღარ დაადო, მაგრამ სამაგიეროდ ივანიშვილის გული ველარ მოიგო. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ვართ დაზღვეული, რომ მარგველაშვილმა ცოტა ხანში არ გვითხრას: ყველანი ერთ ადგილას მკიდიხართ, სააკაშვილი უნდა შევიწყალოო.**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



**„რამდენიმე დღის წინ სანდრა რულოვსმა თქვა, ჩვენ სულ სიკეთეს ვაკეთებდით და ისეთი რა დავაშავეთ, ასე რომ გვექცევიანო? სანდრამ კი არა, მისმა ქმარმა დააშავა, რომელიც იყო პირველი პირი. ქართველ ხალხს რომ ეკითხება, პირველ რიგში თავის მეორე ნახევარს მოჰკითხოს. სააკაშვილმა იმდენი ბოროტება ჩაიდინა, არა მგონია, ვინმემ მისი შეწყალება გაბედოს. ვინ არიან ის ადამიანები, ვისაც სააკაშვილთან რევერანსებით ლაპარაკი სურს? მე პირადად ასეთებს არ ვიცნობ, მაგრამ თუ მაინც არიან, ამაზე ტყუილად ფიქრობენ“**



**როგორც ავი ენები ამბობენ, მავანნი სერიოზულად ემზადებიან, რომ მარგველაშვილს სააკაშვილის გადასარჩენად ნაბიჯი გადაადგმევინონ. სწორედ ასე გადააწყვეტინეს მას თავის დროზე რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილებაზე ვეტოს დადება, მაგრამ მაშინ ბიძინა ივანიშვილმა გადააფიქრებინა მაგარი ჩხუბის შემდეგ**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მცხეთაში სახელმწიფოს კუთვნილი მიწის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ოთხი პირი დააკავეს




საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებისა და სახელმწიფოს კუთვნილი, განსაკუთრებით დიდი ფართობის მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ბრალდებით, ოთხი მოქალაქე, მარია სტეფანოვა, ანა გარსევანიშვილი, ლევან სოხაშვილი და დემურ დუნდუა დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2008 წლის მარტში, ბრალდებულები, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებით, თაღლითურად დაეუფლნენ ქ. მცხეთაში, ფიქრის გორაზე მდებარე სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთებს, რომელთა საერთო საბაზრო ღირებულება 2 500 000 ლარს შეადგენს.

გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე და 180-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს პატიმრობას 6-დან 9 წლამდე ვადით.

ამასთანავე, მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების იდენტიფიცირების მიზნით. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „საწვრთნელი ბანაკები საქართველოს დიდ სამიზნედ აქცევს“



კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, ლინკოლნ მიტჩელი საქართველოში ამბოხებულთა საწვრთნელი ბაზის შესაძლო გახსნასთან დაკავშირებით აცხადებს:

„მე ვფიქრობ, ეს მძიმე გადაწყვეტილებაა საქართველოსთვის. ერთი მხრივ, მას აქვს ინტერესები გლობალურ პოლიტიკაში, მას სურს მხარი დაუჭიროს დასავლეთს ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში, თუმცა საწვრთნელი ბანაკები საქართველოს დიდ სამიზნედ აქცევს. საქართველოსთვის წინა თვეს **MAP**-ი რომ მიეცათ, ამ იდეას საქართველოში დიდი მხარდაჭერა ექნებოდა, ახლა კი შეიძლება ადამიანებმა იკითხონ, რატომ ვშვრებით ამას, კიდევ რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ნატო-ში მიგვიღონ?! არ მინდა ეს საკითხი საქართველოში მოსახლეობის პოლიტიკურად დაყოფის მიზეზი გახდეს“, – განაცხადა მიტჩელმა. (ნიუპოსტი)

# „ნაცმოძრაობის“ ლიდერების კომპანიები და პირადი ანგარიშები ოფშორებში

## როგორ აპირებს პროკურატურა გასაიდუმლოებული ანგარიშების გახსნას



მიხეილ სააკაშვილისა და მისი ოჯახის წევრების ქონების დაყადაღება მხოლოდ პროცესის დასაწყისია, ძალიან მალე, საქართველოს ექსპრეზიდენტსა და მისი გარემოცვის წევრებს, ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიებისა და იქაური ბანკების პირად ანგარიშებზე დამალულ ფულსაც დაუყადაღებენ. ამის შესახებ „ალიას“ პროკურატურასთან დაახლოებულმა წყარომ აცნობა. მისი ინფორმაციით, მთავარმა პროკურატურამ უკვე მიმართა საქართველოში ინტერპოლის წარმომადგენლობას, რათა დაიწყოს მოკვლევა ამ მიმართულებით და ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა გამოიყენოს, რათა სააკაშვილისა და მისი პოლიტიკური მეგობრების ოფშორული ანგარიშების შესახებ მიიღოს მაქსიმალური ინფორმაცია. წყარო აცხადებს, რომ გარდა ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული ბანკებისა, სააკაშვილი და „ნაცმოძრაობის“ ლიდერები ფულს ჩვეულებრივ ბანკებშიც ინახავენ, ოღონდ მხოლოდ ისეთ ბანკებში, რომელთა დამფუძნებლებიც მათთვის სანდო ადამიანები იყვნენ. თუ ეს ინფორმაცია დადასტურდა, მაშინ წინ ძალიან დიდი სკანდალი გველოდება. ყველასთვის ცნობილია, რომ სააკაშვილი და მისი ყოფილი ჩინოვნიკები, საქართველოს ბიუჯეტიდან სხვადასხვა გზით მითვისებულ უზარმაზარ თანხებს სწორედ ოფშორებში ინახავენ.

„ნაციონალები“ აქტიურად რომ იყენებდნენ ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებულ კომპანიებსა თუ პირად ანგარიშებს, ეს კიდევ ერთი ფაქტით დასტურდება. ცნობილია, რომ გიგი უგულავას ქვისლი, გიორგი ღონიაშვილი ციხეში სწორედ იმის გამო ზის, რომ „ნაცმოძრაობის“ დასაფინანსებლად „შავი ფული“ უნდა გამოეყენებინათ და ეს ფული კეზერაშვილმა გადმორიცხა ოფშორიდან.

„ალიას“ წყარო აცხადებს, რომ საქართველოს მთავარ პროკურატურას სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ სხვა ლიდერების ოფშორული ანგარიშების შესახებ ინფორმაციების გარკვეული ნაწილი უკვე აქვს. ამის შესახებ გამოძიებას ინფორმაცია სააკაშვილის გუნდის იმ წევრებისგან მოუპოვებია, რომლებიც ფარულად თანამშრომლობენ გამოძიებასთან და თავის გადარჩენის მიზნით, თუ რაიმე საიდუმლო იციან სააკაშვილის შესახებ, ყველაფერი დაფქვეს.

წყაროს ინფორმაციით, სააკაშვილის გარდა, ოფშორულ ზონებში პირადი ანგარიშები აქვთ ვანო მერაბიშვილს, ზურაბ ადეიშვილს, დავით კეზერაშვილს, გიგი უგულავას, ამირან მესხელს, ბაჩო და დათა ახალაიებს, კახა ბენდუქიძეს, დავით საყვარელიძეს, გიორგი ბარამიძეს, გოკა გაბაშვილს, გიორგი ვაშაძეს, მამუკა ახვლედიანს, აგრეთვე, სააკაშვილის დედას, გიული ალასანიას და ამ ანგარიშებზე ინახება, მინიმუმ, რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი. გარდა ამისა, გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილის, კახა ბენდუქიძის, ამირან მესხელისა და გიული ალასანიას სახელზე, ასევე ოფშორულ ზონებში, რეგისტრირებულია კომპანიები და ამ კომპანიების ანგარიშებზეა დალექილი, ასევე, რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი. ცხადია, ორივე შემთხვევაში, ეს საქართველოს ბიუჯეტიდან მოპარული ანდა, ქართველ ბიზნესმენთათვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების გაყიდვით მიღებული ფულია. პროკურატურას ეჭვი აქვს, რომ ზურაბ ადეიშვილის სახელზე რეგისტრირებული ერთ-ერთი კომპანიის ანგარიშზე ინახება „საქართველოს შსს-დან და „პროკურატურის ფონდიდან“ გამქრალი თანხები. შეგახსენებთ, რომ ეს ის ფონდია, სადაც ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი ბიზნესმენებს აიძულებდნენ, თანხები გადაერიცხათ ვითომ სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმებისთვის, ასევე, ამ ფონდში ფული შეჰქონდათ საპროცესო გარიგებების შედეგად საპატიმროდან განთავისუფლებულ ადამიანებს. ისინი ამ გარიგების თანახმად, ბიუჯეტში ოფიციალურად იხდიდნენ ფულს და დამატებით, არაოფიციალურად ფონდშიც შეჰქონდათ.

2012 წლის არჩევნების შემდეგ, ზურაბ ადეიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საქართველოდან გაიქცა. წყაროს ინფორმაციით, ვიდრე ადეიშვილი უცხოეთში წავიდოდა, ფონდში დარჩენილი დაახლოებით 30 მილიონი დოლარი, ჯერ ერთ-ერთ ევროპულ ბანკში გადარიცხა და ამის შემდეგ, შესაბამისი მანიპულაციებით, მის ოფშორულ ანგარიშზე მოხვდა.

მოგახსენებთ, რომ ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ ბანკებში გახსნილი კერძო პირების ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, შედარებით იოლია. თუ პროკურატურამ ზემოჩამოთვლილ პირთა დანაშაულის უტყუარი მტკიცებულებები წარუდგინა ინტერპოლს, მაშინ ინტერპოლი აიძულებს ბანკებს, ანგარიშების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია გასცეს. შედარებით რთულია ოფშორში რეგისტრირებული იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიცემა, თუ დადასტურდა, რომ მათი დამფუძნებლები ნარკობიზნესთან, იარაღით ვაჭრობასთან და ტრეფიკინგთან არიან დაკავშირებულნი. რადგან მთავარმა პროკურატურამ ინტერპოლს მიმართა დასახმარებლად და კონკრეტული პირების სახლზე რეგისტრირებული კომპანიების ანგარიშით დაინტერესდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ აქვთ მტკიცებულებები, რომ ეს პირები, სწორედ ამ სახის დანაშაულებთან იყვნენ ან დღესაც არიან კავშირში.

ოფშორული ბანკების გარდა, როგორც მოგახსენეთ, „ნაციონალები“ ჩვეულებრივ ბანკებსაც იყენებდნენ ფულის შესანახად. წყაროს თქმით, „ნაციონალების“ ფული, ასევე, ალბანეთის ბანკებში ინახება და სექტემბრის დასაწყისში სააკაშვილი სწორედ იმიტომ სტუმრობდა ალბანეთის პრემიერ-მინისტრს, ედი რამას, რომ საკუთარი და მისი პარტიის სხვა ლიდერთა იქაურ ბანკებში შენახული ფულის ხელშეუხებლობის გარანტია მიეღო. მიშას ეს გარანტიები მიუღია და მშვიდად დატოვა ალბანეთი. თუმცა, ეს გარანტიები ვერ არის მყარი, რადგან, თუ ინტერპოლმა გამოითხოვა ამ ბანკებში „ნაციონალების“ ანგარიშების შესახებ ინფორმაცია, საერთაშორისო პოლიციას წინ ვერც ალბანეთის პრემიერი დაუდგება.

წყარო აცხადებს, რომ პროკურატურის ამ მოქმედებების საბოლოო მიზანი, მიხეილ სააკაშვილის, მისი გარემოცვის წევრთა კერძო და მათ სახელზე რეგისტრირებული კომპანიების ანგარიშების „დევნის“ მიზანი ამ ანგარიშების დაყადაღებაა, რადგან მათ უტყუარი მტკიცებულებები აქვთ, რომ ეს თანხები კანონდარღვევით არის მოპოვებული და მითვისებული. თუ ამას მიაღწია პროკურატურამ, შემდეგი ეტაპი, ამ ფულის საქართველოს ბიუჯეტში დაბრუნება იქნება. ლოგიკურად კი, თუ ამ თანხების უკანონო წარმომავლობა დაამტკიცა პროკურატურამ, მას არც იმის დამტკიცება უნდა გაუჭირდეს, რომ ეს მილიონები საქართველოს ბიუჯეტიდან მითვისებული თანხებია. შესაბამისად, შემდგომი სამართლებრივი პროცედურა, ზემოჩამოთვლილი ადამიანების წინააღმდეგ სისხლი სამართლებრივი დევნის დაწყება და ბრალის წაყენება უნდა იყოს.

„ალიამ“ ინფორმაცია საქართველოს მთავარ პროკურატურაში გადაამოწმა. მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ნათია სუხიაშვილს ვკითხეთ, მართლა სთხოვა თუ არა პროკურატურამ ინტერპოლს მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის წევრების ოფშორული ანგარიშების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება. ნათია სუხიაშვილმა გვიპასუხა, რომ „გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, პროკურატურა ამ ეტაპზე კომენტარისგან თავს შეიკავებს“.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### პუშკინის მოედანზე შესაძლოა ორმხრივი მოძრაობა აღდგეს



თბილისის საკრებულოში, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა, რომელზეც აქტუალური იყო თბილისში, პუშკინის მოედანზე ორმხრივი გზის აღდგენის საკითხი, რომელიც კოლმეურნეობის მოედნიდან თავისუფლების მოედნამდეა გათვალისწინებული. კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის ავთანდილ სუდაძის თქმით, აღნიშნული გზის აღდგენა, უპირველეს ყოვლისა, გონივრული მშენებლობის ხარჯზე განხორციელდება, ისე, რომ არ დაზიანდება კულტურული მემკვიდრეობის არც ერთი ძეგლი და ამასთანავე, ესტაკადის გადახურვაც ისე მოხდება, რომ ყველა ძეგლი ხელუხლებელი და დაუზიანებელი დარჩება. ამდენად, ამ სამუშაოების შემდეგ მსურველებს მათი ნახვის საშუალება კვლავაც ექნებათ.

მისივე თქმით, პროექტის აუცილებლობა ტრანსპორტის განტვირთვისა და თბილისის ბევრ უბანში არსებული ავარიულ მდგომარეობაში მყოფი, ამორტიზებული შენობების დაცვის მიზნით არის გამოწვეული. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### საქართველო არბიტრაჟის მუდმივმოქმედ სასამართლოს უერთდება



საქართველო არბიტრაჟის მუდმივმოქმედ სასამართლოს უერთდება, რომელიც ქალაქ ჰააგაში მდებარეობს და 1907 წელს მიღებულ კონვენციაზეა დაფუძნებული.

საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ამ კონვენციის წევრია 116 ქვეყანა, საქართველო კი 117-ე იქნება.

„ამით საქართველო უერთდება კიდევ ერთ საერთაშორისო კონვენციას და კიდევ ერთხელ გამოხატავს თავის ერთგულებასა და ვალდებულებას, იმოქმედოს კანონისა და მართლმსაჯულების, საერთაშორისო სამართლის ფარგლებში“, – განმარტა ფანჯიკიძემ. (ნიუპოსტი)

# კერძო მევახშეებთან ნაღდი ანგარიშსწორება იკრძალება



კერძო იპოთეკარებსა და მსესხებლებს შორის ურთიერთობაზე რეგულაციები მკაცრდება და უახლოეს მომავალში ურთიერთობა უნაღდო ანგარიშსწორებით მოუწევთ. „ბანკების ასოციაციის“ პრეზიდენტი ზურაბ გვასალია აცხადებს, რომ ასოციაცია ამ თემაზე უახლოეს მომავალში იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო წინადადებით მიმართავს. გვასალიას თქმით, კერძო იპოთეკარებთან დაკავშირებით ბევრი პრობლემა არსებობს, კანონში ცვლილების შეტანის შემდეგ კი ნოტარიუსი ველარ დაარეგისტრირებს ხელშეკრულებას, თუ მსესხებელსა და გამსესხებელს საბანკო ანგარიშები არ ექნებათ. გარდა ამისა, სასამართლოს არ ექნება უფლება, მიიღოს დავა, რომელშიც ორ სუბიექტს შორის ურთიერთობა საბანკო ანგარიშების მეშვეობით არ იქნება. როგორც გვასალია ამბობს: „როდესაც მსესხებელს უნდა გამსესხებლისთვის თანხის მთლიანად დაბრუნება, მას გამსესხებელი ემალება, რომ ვადები გადააცილოს და შემდეგ ჯარიმები დაუწესოს. ამ რეგულაციის დაწესების შემდეგ კი არც შეეკითხება, ისე ჩაურიცხავს პირდაპირ ანგარიშზე“.

კიდევ რა რეგულაციების გაწერა იგეგმება კანონპროექტში? შეეზღუდება თუ არა მოქალაქეს უფლება, აირჩიოს, ვისთან სურს ურთიერთობა – მევახშესთან თუ ბანკთან? ხომ არ მოხდება საპროცენტო განაკვეთის აწევა მევახშეებისთვის, რომლებიც ამჟამად 10%-ად აძლევენ სესხს მოქალაქეს, ბანკში კი ორჯერ მაღალი პროცენტია? ეს ის კითხვებია, რომლებზეც პასუხის მიღება „ალიას“ ზურაბ გვასალიასგან სურდა, თუმცა მას მთელი დღის განმავლობაში მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა, ასოციაციის ინტერნეტგვერდზე მითითებულ ნომერზე დარეკვისას კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოვხვდით.

**„ალიას“ ესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი, დემურ გიორხელიძე:**

– იდეა სწორია, ეს კანონი აწესრიგებს ურთიერთობას მხარეებს შორის და, ფაქტობრივად, ხილულს ხდის ყველა იმ ოპერაციას, რომელიც კერძო იპოთეკარსა და კერძო გამსესხებელს შორის კონტრაქტით იქნება დადგენილი. ცხადია, ინტერპრეტაციის თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია ამას სხვანაირადაც შევხედოთ. არგადახდის შემთხვევაში ჩნდება ბერკეტი მსესხებლის მიმართ ყველა ანგარიშზე არსებული თანხის მობილიზაციისა და გადახდისკენ მიმართვისა, მაგრამ ასეთ უკიდურეს ინტერპრეტაციაზე საუბარს, სჯობია, ვიმსჯელოთ დადებით კონტექსტზე. ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია ლეგალურად უნდა ხორციელდებოდეს, და რაღა დროს ნაღდი ფულით სიარული და ანგარიშსწორებაა. ერთი თვალსაზრისით ეს კარგია, მაგრამ მეორე თვალსაზრისით რაღაც იზღუდება. ის, რომ კაბალური პირობებია კერძო სესხის აღებისას, ის, რომ აბსოლუტურად შეუსაბამო პროცენტები და ჯარიმებია და 5-6 ათასი დოლარისთვის უხდებათ 10 ათასობით ღირებულების სახლის გაყიდვა, ეს უკვე სხვა საკითხია და ამ კანონთან კავშირში არ არის.

**— ამ კანონის მიღების ფარული აზრი ის ხომ არ არის, რომ გამკაცრდეს ურთიერთობა მევახშესა და მსესხებელს შორის და ადამიანი იძულებული გახდეს ბანკში მივიდის ფულის სასესხებლად? ხშირია შემთხვევები, როდესაც მევახშესთან პირადი მოლაპარაკების საფუძველზე ხდება სესხის გადავადება და ქონებას არ კარგავს ადამიანი, რაც ბანკთან გამორიცხულია.**

– ქართული საბანკო სისტემა რომ ვარგოდეს, ისინი არ დატოვებდნენ თავისუფალ ნიშებს კერძო გამსესხებლებისთვის. სად ნახეთ ცივილიზებულ სამყაროში, აიღეთ გნებავთ დასავლეთისა და აღმოსავლეთის განვითარებული ქვეყნები, რომ ვილაც კერძო გამსესხებელი ბანკებს კონკურენციას უწევდეს და უზარმაზარ მოთხოვნას აკმაყოფილებდეს? ამიტომ ეს პროცესი შეიძლება კარგიც იყოს, რომ ჩვენ ვაიძულოთ ხელისუფლება, ყურადღება მიაქციოს ბანკებს და დააწესოს ცივილიზებული რეგულაციები. ბანკები ახლა თავზეხელაღებულად ყვლეფენ ხალხს და ეს ვინმემ უნდა შეაჩეროს. კერძო მევახშეებს ნორმალურ საბანკო სივრცეში არსებობის არანაირი პერსპექტივა არ გააჩნიათ, მაგრამ ქართული ბანკები დღეს კერძო მევახშეებზე უარესები არიან თავიანთი მიდგომებით, ეკონომიკური პოლიტიკით და ამიტომაც არის, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს მევახშესთან ურჩევნია ურთიერთობა.



**— რეგულაციების გამკაცრებით მოქალაქეს არჩევანი არ ეზღუდება? ცნობილი არც ის არის, ბანკის მეშვეობით მევახშისთვის ფულის გადახდისას რა პროცენტის გადახდა მოუწევს მსესხებელს საბანკო მომსახურებისთვის. ამ დრომდე ბანკებზე დაბალი პროცენტი ჰქონდათ მევახშეებს, უცნობია, ამიერიდან როგორ იქნება.**

– გეთანხმებით, მაგრამ ეს უნდა იყოს სწორად გაკეთებული. საქართველოს ეროვნული ბანკი არ ასრულებს თავის ფუნქციას კომერციული ბანკების რეგულაციების თვალსაზრისით, რაც შეეხება ხელისუფლებას, მათ კანონების მთელი პაკეტი უნდა შემოიტანონ, სადაც კერძო სექტორის მთელი ასპექტი და ბანკის ურთიერთობა იქნება მკაცრად რეგულირებული, რომ არც ბანკებს მიეცეთ თვითნებური პოლიტიკის გატარების საშუალება და მოქალაქესაც საშუალება ჰქონდეს, ცივილიზებული პროცენტით მიიღოს სესხი. დღეს ფულის საჭიროებით შეწუხებული ადამიანი ხაფანგშია გაბმული. როცა ადამიანს ოჯახის წევრი ავად ჰყავს, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სჭირდება, ის ყველაფერზე თანახმაა და ხშირად რჩება უსახლკაროდ ამ გამომძალველი პოლიტიკის გამო.

**— როცა მოქალაქე საცხოვრებელ სახლს დებს ბანკში ესე იგი მას არ აქვს ფული და თითქმის შეუძლებელია ძირი თანხის ზემოდან მან გადაიხადოს 18, 24 და 36%. არათანმიმდევრულად რატომ იქცევა ბანკების ასოციაცია? ჯერ ბანკებმა გადახედონ სატარიფო პოლიტიკას და შემდეგ მიდგეს ჯერი მევახშეებზე.**

– ამაშიც გეთანხმებით, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება, რომ 20 და 24%-ად გიფასებდნენ უზარმაზარ ქონებას და შემდეგ ჩალის ფასად ყიდდნენ მას. ეს კანონმა და ხელისუფლებამ უნდა დაარეგულიროს. სამწუხაროდ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ძარცვის მექანიზმად არის გადაქცეული.

**— ალბათ, რეგულაციების გამკაცრება კერძო მევახშეებს აიძულებს, არალეგალურად მოხდეს გარიგება მსესხებელსა და გამსესხებელს შორის.**

– ნამდვილად ასეა, თუ რეგულაციები სწორად არ იქნება მიღებული, ჩვენ საერთოდ დამალულ ხელშეკრულებებზე გადავალთ, რომელიც კიდევ არაერთი უბედურების შემქმნელი იქნება. გასესხების პროცესი ლეგალური სფეროდან გავა და ეს გაცილებით უარყოფითი შედეგის მომტანი იქნება, როგორც კლიენტისთვის, ისე მევახშეებისთვის. ამიტომ ამას უნდა დეტალური გაწერა და სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ ცვლილებები შეეხოთ ბანკებსაც. კანონი არ უნდა იყოს მხოლოდ ერთ მხარეზე მორგებული, ამ შემთხვევაში ბანკებზე. ისე არ გამოვიდეს, რომ ბანკებს კლიენტების რაოდენობა გაეზარდოთ, მევახშეები ისე დარჩნენ და მოქალაქეებს მოუწიოთ მაღალ პროცენტში ბინის იპოთეკით დატვირთვა, რომელთა დიდი ნაწილი გასხვისებისთვის არის განწირული. თუმცა რეგულაციების ყველაზე უარყოფითი მოსალოდნელი შედეგი მაინც მევახშეთა საქმიანობის ლეგალური სფეროდან გასვლაა.

**„ალია“ ამ თემას კვლავ დაუბრუნდება. შევეცდებით, ზურაბ გვასალიას არგუმენტები მოვისმინოთ კანონპროექტის შემუშავების საჭიროებასა და მის უარყოფით მხარეზე.**

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## დაკავებულ მსაჯებს მსაჯობის უფლება სამუდამოდ ჩამოერთვათ



კომერციული მოსყიდვის ფაქტზე დაკავებულ მსაჯებს მსაჯობის უფლება სამუდამოდ აეკრძალათ. გადაწყვეტილება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის სხდომაზე იქნა მიღებული.

მომხდარის შესახებ ინფორმაცია ოპერატიულად მიეწოდა ფიფა-ს და უეფა-საც, რათა აღნიშნულ ინციდენტში მონაწილე მსაჯი ფიფა-ს სიიდან გაირიცხოს.

სამართალდამცველებმა, კომერციული მოსყიდვის ფაქტზე, 24 სექტემბერს, 8 მსაჯი დააკავეს. (ნიუპოსტი)



## რუსეთმა შესაძლოა, საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტები განახორციელოს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინის განცხადებით, „საბჭოთა პერიოდში, საქართველოს ტერიტორიაზე, არსებობდა გზებისა და გვირაბების პროექტები, რომლებსაც რუსეთში მივყავდით და ისინი არ მომკვდარა... უახლოეს პერსპექტივაში შესაძლოა, მიღწეულ იქნას შეთანხმებები კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ“, – განაცხადა კარასინმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## შსს „მოსმენების გასაღების“ დათმობას არ აპირებს




შინაგან საქმეთა სამინისტრო წინააღმდეგია, რომ მოსმენების ე.წ. გასაღები მათი უწყებიდან გამოვიდეს და მობილურ ოპერატორებს გადაეცეთ. შს მინისტრის მოადგილის, ლევან იზორიას განცხადებით:

„უნდა გაძლიერდეს პერსონალური დაცვის ინსპექტორის საზედამხედველო როლი და შესაბამისად, გარე კონტროლის მექანიზმი ითვალისწინებს ავტომატურ რეჟიმში ყველა ინფორმაციის გადაცემას ინსპექტორისთვის. შესაბამისად, ინსპექტორის მხრიდან ჩნდება უკვე ინფორმაციის გაკონტროლებისა და ზედამხედველობის შესაძლებლობა“, – აცხადებს იზორია.

ევროპელი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მოსმენების ე.წ. გასაღები ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიას უნდა ჰქონდეს, ანალოგიურად ფიქრობს სამოქალაქო სექტორიც და იმედოვნებს, რომ კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანა 1-ელ ნოემბრამდე მოხდება. (ნიუპოსტი)

რა ტენდენციები გახშირდა ბოლო დროს პოლიციის მხრიდან? რა მიზანი აქვს უკანონო დაკავებებს და თუ აღმოჩნდა, რომ პირი უდანაშაულოა, რატომ არ იცავს მას კანონი? რატომ ითხოვენ ნასამართლევი პირებისგან საქართველოს საზღვრების დატოვებას?

„ალიას“ ადვოკატი **მამუკა ნოზაძე** ესაუბრა:



**— ბატონო მამუკა, ბოლოდროინდელი ნარკოტიკის ჩადებისა და დაკავების ფაქტები, საზოგადოებას ძალიან აღიზიანებს. ამბობენ, „ნაციონალებიც“ აკავებდნენ ასე ხალხს, მაგრამ ვიცოდით, ეს დაკავებულები ოპოზიციის წევრები იყვნენ, ამ „ოცნებას“ რაღა დაემართაო. ნარკოტიკებზე დაკავებული თენგიზ ერისთავის განთავისუფლების მოთხოვნით, მგონი, საზოგადოებრივი მოძრაობაც შექმნეს. რა ხდება, რატომ აკეთებენ ამას?**

– ახლა უფრო რთული ვითარებაა, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობის“ დროს იყო. გარწმუნებთ, არანაირ დრამატიზებას არ ვახდენ. ფარონ ის სოციალურ-პოლიტიკური ფონი, რაც არის ქვეყანაში. რთული სიტუაციაა სასჯელაღსრულების დაწესებულებებშიც და აშკარად უჭირს ხელისუფლებას. ის პოლიციელები ახორციელებენ ახლაც ასეთ დაკავებებს, რომლებიც წლების მანძილზე სჩადიოდნენ დანაშაულებრივ ქმედებებს, ხშირ შემთხვევაში რიგითები კი არ არიან, წამყვან თანამდებობებს იკავებენ.

**— ეჭვი გამოთქვეს ზოგიერთებმა, შესაძლოა, ჭიკაიძემ არც კი იცის, რას აკეთებენ პოლიციელები დაბალ რგოლში. შესაძლოა, მართლაც ასე იყოს?**

– წარმოუდგენელია, რადგან ადგილზე ვერავინ გაბედავს თვითნებობას, თუ ნებართვა არ ექნათ, ან არ ეცოდინებათ, რომ არავინ დასჯით ამის გამო. მინისტრმა ეს, ცხადია, იცის. მე მაქვს ინფორმაცია, რომ არსებობს ე.წ. დასაკავებელთა სია იმის მიხედვით, რომ ისინი განეკუთვნებიან რისკ-ჯგუფებს.

ლისუფლებით დიდხანს, რადგან საზოგადოება უკვე გამოხატავს უკმაყოფილებას და ეს უკმაყოფილება მიაღწევს კულმინაციას. ყველა სფეროში უჭირს ხელისუფლებას, ადამიანების მოლოდინი არის გაცრუებული, საკუთრების უფლება არ არის დაცული, ვინც წაართვა ადამიანს ქონება, იგივე პროკურორი გადაიყვანეს ისეთ თანამდებობაზე, რომ ისევ მის ხელში ხვდება ეს საქმე თავიდან განსახილველად. ხალხის დაშინება უნდათ, რომ ისევ ესენი დარჩნენ ხელისუფლებაში. მაგალითად, გორში არჩევნებისას კრიმინალებიც კი გამოიყენეს. ასეთი მეთოდით ხელისუფლება შორს ვერ წავა.

განცდა, რომ „ნაციონალების“ დროს დევნილი და გამწარებული იყო, ისევ აქვთ ადამიანებს, იმედწართმეული ადამიანი კი ძალიან სახიფათოა. ამდენი ხანია, სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს ხალხი და საშველი არ დაადგა. მოთ-

# ადვოკატი მამუკა ნოზაძე: „მე მაქვს ინფორმაცია, რომ არსებობს დასაკავებელთა სია“

შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ მსგავს შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ვინც მუშაობდა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს და ახორციელებდა პრაქტიკულ ქმედებას, ადვოკატები, უფლებადამცველები, ამას თვალნათლივ ხედავენ. მაშინ დაკავებები ხდებოდა სხვადასხვა საბაბით, ახლა კი ყოველგვარი მოტივაციის გარეშე ხდება მასობრივად დაკავება, ძირითადად მათ აკავებენ ღამის საათებში, ქუჩებში, უბნებში აკავებენ ადამიანებს, მათ არ ეძლევათ საშუალება, დადგნენ თავიანთ უბანში, როცა არაფერს აშავებენ, არც ალკოჰოლს იღებენ, არც საზოგადოებრივ წესრიგს არღვევენ. მათ ეუბნებიან, დაიშალეთ, თორემ დაგაპატიმრებთო. მასობრივად მიჰყავთ ნარკოლოგიურში, ამოწმებენ, აშანტაჟებენ, ეუბნებიან, საქართველო დატოვეთო.

**— ამას რატომ სთხოვენ, რაღაც მიზეზი, მოტივი ხომ უნდა არსებობდეს?**

– უმიზეზოდ... დაგისახელებთ გუშინ დაკავებული კუკური ნოზაძის მაგალითს. ის დაკავებული იყო იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც დააკავეს თენგო ერისთავი. მასაც ნარკოტიკი ჩაუდეს. ეს ადამიანი დაავადებულია უმძიმესი ფორმით, იმყოფება სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, მას პოლიციამ განუცხადა დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე, რომ წასულიყო საქართველოდან. ნოზაძე, მართალია, არის ნასამართლევი, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს საზოგადოებისთვის, არანაირ კრიმინალში არ არის შემჩნეული. პოლიციას უთხრა, მე სახელმწიფო მაძლევს მედიკამენტებს, სად წავიდე, ასე ადვილია უცხოეთში წასვლაო? ასეთი მძიმე ავადმყოფი რომ ვარ, ვინ მომცემს წამლებს საზღვარგარეთო. არ დაემორჩილა პოლიციას და რამდენიმე დღის შემდეგ აიყვანეს, ვითომდა ხელყუმბარა ჰქონდა. ვინ დადის ახლა ქუჩაში „ლიმონკით“? ეს ადამიანი დღეს ციხეშია. ანუ ის მანკიერი ქმედებები, როცა ადამიანებს იშორებდნენ ნარკოტიკით და იარაღით „ნაციონალების“ დროს, იგივე გააგრძელა ამ ხელისუფლებამაც. არამხოლოდ ამ პიროვნების შემთხვევაში, უამრავ ადამიანს უთხრეს, დატოვეთ ქვეყანაო. ეს რა პოლიტიკაა? ზოგს შვილები ჰყავს, ზოგს მეუღლე ჰყავს ფეხმძიმე, ზოგს მოხუცი მშობლები ჰყავს, რატომ აიძულებენ ქვეყნის დატოვებას? თუ საქართველოს ქართველებს დაატოვებინებენ, აბა, ვინღა იცხოვრებს?

**— თუ აღმოჩნდება, რომ დაკავებული პირი მართალია, მას ხომ კანონი იცავს?**

– კანონში არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება პოლიციელს, მისი საქციელი კანონთან შესაბამისობაში ითვლება. მას გონივრული ეჭვის საფუძველზე შეუძლია დააპატიმროს ადამიანი. თუ აღმოჩნდება, რომ არაფერია, ის პირი განთავისუფლდება, მაგრამ არავინ უხდის ბოდიშს შეცდომით დაკავებისთვის.

საქმე ამაშია, რომ ძალიან წესიერი ადამიანები მოყვნენ ამ დაკავებებში, ზოგი სტუდენტია, ზოგი მუშაობს და გვიან ბრუნდება სახლში. პოლიციელებისთვის განსხვავება არ არის, ხდება მასობრივი დაპატიმრებები ერთი მიზნით, დაითესოს შიში საზოგადოებაში. ეს იგივე პოლიტიკაა, რაც ხდებოდა სააკაშვილის დროს, ეს მათ სჭირდებათ იმიტომ, რომ გადა-

**— რა კატეგორიას მიეკუთვნებიან ეს ადამიანები, რას წარმოადგენენ?**

– ისინი ძირითადად ნასამართლევები არიან, მაგრამ მათი უმიზეზოდ დაკავებით სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება შეუძლებელია. მერე რა, რომ ნასამართლევია, თუ არ არის კონკრეტული მტკიცებულება, არ უნდა მოხდეს მისი დაკავება. მაშინ გაატარონ შესაბამისი ოპერატიული ღონისძიებები და დაუმტკიცონ დანაშაული. სახლში შევარდნა და ქუჩაში გაჩერება არ არის პრევენცია, ასე დაიწყო სააკაშვილმაც და ვნახეთ, როგორც დაასრულა. ეს არაა ცივილიზებული მეთოდი, ხშირად იხსენებენ წარსულ 9 წელს და იგივეს აგრძელებენ.

**— რატომ აუნთეს პოლიციას მწვანე შუქი, რა არის ამის საბოლოო მიზანი?**

– ვფიქრობ, მოკლე პოლიტიკური ცნობიერება აღმოაჩნდა „ქართულ ოცნებას“, მასაც ჰგონია, სააკაშვილივით დიდხანს იქნება ხელისუფლებაში, მაგრამ ძალიან ცდება, ისინი მომავალ არჩევნებშიც ვერ გავლენ, ეს ცხადყო უკვე ბოლო არჩევნებმაც. ვერ დატკბებიან ხემინების ფიალა ისეა ავსებული, მოსალოდნელია, ეს ადამიანები უკვე ფიზიკურად გაუსწორდნენ მათ, ვინც ზიანი მიაყენათ.

**„ალია“ კომენტარისთვის შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ნინო გიორგობიანს დაუკავშირდა:**

**— ნინო, ადვოკატი მამუკა ნოზაძე ამბობს, რომ პოლიცია მძიმე ავადმყოფ პიროვნებას ქვეყნის დატოვებას აიძულებდა და მათი მოთხოვნა რომ არ შეასრულა, ხელყუმბარა ჩაუდეს და დაიჭირეს...**

– როგორც კი მსგავსი ფაქტი მოხდება, შეუძლიათ, დაუკავშირდნენ გენერალურ ინსპექციას, ჩვენ ყველა ამ ფაქტს შევისწავლით და მოვახდენთ რეაგირებას.

**— ასევე, ამბობს, რომ ბოლო ხანს, უკანონო დაკავებების ტენდენცია გამოიკვეთა.**

– რაც შეეხება ტენდენციას უკანონო დაკავებებთან დაკავშირებით, ეს არის მორიგი დეზინფორმაცია, რომელიც ვრცელდება ჩვენი უწყების მისამართით...

»» ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სასამართლომ ექსპერტი ლევან ჩაჩუა პატიმრობაში დატოვა



თბილისის საქალაქო სასამართლომ სამედიცინო ექსპერტი ლევან ჩაჩუა პატიმრობაში დატოვა. დაცვის მხარე წინასწარი პატიმრობის გაუქმებას ითხოვდა. ამის არგუმენტად ისინი ჩაჩუას ჯანმრთელობის მდგომარეობას და იმ ფაქტს ასახელებდნენ, რომ საქმეზე ყველა მოწმე დაკითხულია და თავისუფლებაში ყოფნით ლევან ჩაჩუა ხელს ვერ შეუშლიდა გამოძიებას.

ბრალდების მხარის მტკიცებით, ჩაჩუა განთავისუფლების შემთხვევაში მოწმეებზე ზეწოლას მოახდენდა.

ჩაჩუას ბრალი ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმეში 342-ე მუხლით აქვს წაყენებული, რაც სამსახურებრივ გულგრილობას გულისხმობს. მისი საქმე ცალკე წარმოებადაა გამოყოფილი. (ნიუპოსტი)

## სირიაში პანკისელი ბესო კუშტანაშვილი დაიღუპა



სირიაში, შეტაკების დროს, 18 წლის ბესო კუშტანაშვილი დაიღუპა, რომელიც პანკისის ხეობის სოფელ ომალოში ცხოვრობდა.

არსებული ინფორმაციით, ამ დროისთვის პანკისის ხეობიდან სირიაში საბრძოლველად დაახლოებით 50-მდე ახალგაზრდაა წასული, მათ შორის 16-18 წლის მოზარდებიც. ბესო კუშტანაშვილი სირიაში პანკისელ მებრძოლებს შორის უკვე მეექვსე დაღუპულია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## თბილისის მერიიდან 1 თვეში 155 ადამიანი განთავისუფლდა

„სამართლიანმა არჩევნებმა“ 1-ლი აგვისტოდან 2014 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით, მერიისადმი დაქვემდებარებული სამსახურებიდან გათავისუფლებულ პირთა შესახებ, ინფორმაცია გამოითხოვა. რომლის თანახმადაც, დროის ამ პერიოდში 155 ადამიანი განთავისუფლდა სამსახურიდან.

მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, განთავისუფლებულებიდან პირადი განცხადების საფუძველზე სამსახური დატოვა 115-მა; ვადის გასვლის გამო – 32-მა; დისციპლინური პასუხისმგებლობის გამო – 5-მა; სხვა საფუძვლით – 3-მა.

პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებულებიდან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურიდან გათავისუფლდა 46 პირი; მერიის ადმინისტრაციიდან – 34; ზედამხედველობის საქალაქო სამსახურიდან – 9; სხვა სამსახურებიდან – 26 პირი. პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლებულ პირებს შორის არიან საქალაქო სამსახურის/განყოფილების უფროსები, განყოფილების უფროსის მოადგილეები, მთავარი და წამყვანი სპეციალისტები, საქალაქო სამსახურის აპარატის უფროსები, მერის აპარატის უფროსები, შტატგარეშე მოსამსახურეები, მერიის ადმინისტრაციის უფროსი, მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეები და სხვა. (ნიუპოსტი)

# ციხეებში სიტუაცია ძალიან დაიძაბა

## ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი „საბოტაჟნიკებს“ ასახელებს

**„ალიასთან“ ინტერვიუში უფლებადამცველმა ნიკა მჟავანაძემ განაცხადა, რომ უგულავა, მერაბიშვილი და ბაჩო ახალაია ციხეში ბუნტს ამზადებენ და ამისთვის იმ პატიმრებს გამოიყენებენ, რომლებიც ხელისუფლებისგან განაჩენების გადახედვას დიდი ხანია, უიმედოდ ითხოვენ. ამის პარალელურად ქუჩის აქციებს დაიწყებენ პატიმართა ახლობლები და ამ ყველაფრის მიზანია, ქვეყანაში უმართავი სიტუაციის შექმნა და ხელისუფლების შეცვლა, თუნდაც ძალადობრივი გზით. როგორც „ალიას“ აცნობეს, ბუნტი რამდენიმე დღეში სასჯელაღსრულების მე-17 დაწესებულებიდან დაიწყება.**

**რა ხდება პენიტენციურ სისტემაში ამ ეტაპზე და რამდენად შეინიშნება ბუნტის ნიშნები?**

**„ალიას“ ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი ესაუბრა:**



**— ბატონო გელა, როგორც გავიგე, რამდენიმე დღეში სასჯელაღსრულების მე-17 დაწესებულებაში პატიმრები ბუნტს გეგმავენ. თუ გაქვთ ინფორმაცია, რა ხდება ციხეებში?**

– პენიტენციურ სისტემაში სიტუაცია საკმაოდ დაძაბულია. ვფიქრობ, ეს დაძაბულობა სასჯელაღსრულების მე-6 დაწესებულების დახურვამ გამოიწვია, საიდანაც პატიმრები სხვადასხვა დაწესებულებებში გადაანაწილეს, მათ შორის მე-17-ში, მე-7-ში, ქსნის დაწესებულებაში, ქუთაისში... ამანაც, თავისთავად სიტუაციის გაუარესება გამოიწვია, იმდენად, რამდენადაც საარსებო სივრცე შეეზღუდა პატიმრების ნაწილს. პატიმრების ამ გადაყვანა-გადმოყვანაში პრობლემა გახდა ურთიერთობა ე.წ. ავტორიტეტებსა და ადმინისტრაციას შორის. ის ყბადაღებული თემა, ვინ მართავს ციხეს, ადმინისტრაცია თუ მაყურებელი, რა თქმა უნდა, ყოველთვის იყო და იქნება, მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, ამ ეტაპზე ციხეებს უდავოდ ციხის ადმინისტრაციები მართავენ, თუმცა, რაღაცა ფარული და ქვეტექსტური დამოკიდებულება მაყურებლებსა და სხვა პატიმრებს შორის არსებობს.

ახლა ასეთი რამ ხდება – სიტუაციის გაუარესების გამო გარკვეული შეზღუდვები დაწესდა, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე პრაქტიკულად, ამან და კიდევ დამატებით სხვა რამეებმა სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა, პატიმრები უკმაყოფილოები არიან, უკმაყოფილებას კი, პირველ რიგში, ის ადამიანები გამოხატავენ, ვინც ავტორიტეტები არიან ამ პატიმრებისთვის და ვისაც მათ წარმომადგენლებად თვლიან. პატიმრებს შორის ძალიან ბევრია ისეთი, რომელიც მიიჩნევს, რომ ის არ უნდა გადაეყვანათ, ეს მათთან შეუთანხმებლად მოხდა და ეს მათი უფლებების შელახვად ჩათვალეს. ასეთმა წვრილმანებმა, საერთო ჯამში, საკმაოდ დაძაბული სიტუაცია შექმნა, არა მხოლოდ მე-17, არამედ ბევრ სხვა დაწესებულებაში. ამ ეტაპზე ვერ ვიტყვი, რომ ის, რაც დღეს ციხეებში ხდება, ბუნტის ზღვარი იყოს, თუმცა ვადასტურებ, რომ სიტუაცია უდავოდ, დაძაბულია და ეს იგრძნობა.

**— სასჯელაღსრულების მე-6 დაწესებულება თითქოს რემონტის გამო დაიხურა და ეს მართლაც ასეა?**

– მე-6 დაწესებულების დახურვის საკითხი, ცოტა არ იყოს, უცნაურად მეჩვენება. ეს ციხე, 9-10 წლის წინაა აშენებული ევროკავშირის თანხებით და მათივე მეთვალყურეობით. ითვლებოდა, რომ ეს იყო ძალიან მაღალი ხარისხის მშენებლობა. არ გამოვრიცხავ, რომ რაღაც ნაწილი სარემონტო გახდა, მაგრამ მიკვირს, რომ ამხელა დაწესებულება, სადაც 1000-ზე მეტი კაცი იყო განთავსებული, უცბად დაიხურა. რუსთავში, მე-16 დაწესებულება 15 სექტემბერს უნდა გახსნილიყო, ჯერ არ გახსნილა, შესაძლოა, გახსნა გადაიდო, მაგრამ თავისუფლად შეიძლებოდა მისი გახსნის შემდეგ დახურულიყო მე-6 დაწესებულება. ყოველ შემთხვევაში, არ ინგრეოდა. ვამბობ იმას, რაც მინახავს და პატიმრებისგან და მათი ახლობლებისგან ვიცი. ეს ჩემთვის ძალიან გაუგებარი გარემოებაა, რამაც ეჭვი გამიღრმავა, რამე დაძაბულობის შექმნას ხომ არ ცდილობენ, ან საბოტაჟს ხომ არ აქვს ადგილი-მეთქი.

**— საბოტაჟს ვისი მხრიდან?**

– სასჯელაღსრულების სისტემაში მომუშავე „ნაციონალური მოძრაობის“ ფარული მომხრეების, რომლებიც ცდილობენ, რომ ციხეებში სიტუაცია ხელოვნურად დაიძაბოს. წარმოიდგინეთ, 2500 კაცია თითქმის მე-17 დაწესებულებაში. ეს ციხე 1700-1800 პატიმარზეა გათვლილი. ანუ ამ ეტაპზე გადატვირთულია. ყოფილი ხელისუფლების დროს 2500 კი არა, ყველა ერთმანეთზე რომ დაეწყოთ, ხმის ამომღები არავინ იყო, მაგრამ ახლა, როცა ხმის ამოღების საშუალება მიეცათ, ისინი ცდილობენ, საკუთარი უფლებები დაიცვან, ეს უკმაყოფილებაში გადაიზარდა და ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ვფიქრობ, არსებული სიტუაცია ხელოვნურადაა შექმნილი.

**— რას მოიგებს ბუნტით პატიმარი, გარდა იმისა, რომ ადმინისტრაციასთან ურთიერთობა დაეძაბება?**

– ბუნტი კოლექტიური პროტესტის გამოხატვაა. ბუნებრივია, ისინი გაქცევის მცდელობას ან შეიარაღებულ აჯანყებას ვერ მოაწყობენ. ბუნტის ფორმა შესაძლოა, იყოს მასობრივი შიმშილობა, მასობრივი დაუმორჩილებლობა. რასაც არ მგონია, რომ კონკრეტული დადებითი შედეგი მოჰყვეს პატიმრისთვის. მსგავსი რამ პატიმრისთვის ყოველთვის წამგებიანია. რეჟიმი ამის შემდეგ კიდევ უფრო მკაცრდება. ერთადერთი ისაა, რომ შესაძლოა, საზოგადოების, ჟურნალისტების ყურადღება მიიქციონ. თორემ ამით მათ არც მდგომარეობა გაუუმჯობესდებათ და ვერც თავიანთ წესებს დაამკვიდრებენ ციხეში. ამის საშუალება არ მიეცემათ, პირიქით მოხდება, ასეთ შემთხვევაში ციხის ადმინისტრაცია ეცდება, საკუთარი ძალა და გავლენა დაანახოს პატიმარს. ამიტომ ბუნტს არანაირად არ ვურჩევდი პატიმრებს.

**— თუ რეალურად შედეგის მომტანი არ არის, მაშინ, რაში სჭირდებათ ბუნტის მოწყობა? „ნაციონალებს“ რომ აწყობთ, ვიცი, კიდევ ვინმეს ინტერესში შედის?**

– დღეს სიტუაციის არევის მცდელობაა ყველა სფეროში. მით უმეტეს ციხეებში. ამის ინტერესი, რა თქმა უნდა, აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“, ამას არ მალავენ. ისინი შანსს არ უშვებენ ხელიდან, რომ ის, რაც ხდება, ხელისუფლების უნიათობად და უუნარობად დაანახონ ხალხს, მით უმეტეს იმ სფეროში, რომელიც მათი ხელისუფლების დამხობის დეტონატორად იქცა. ახლა ცდილობენ, მათ მიერ გამოყენებული სადისტური მეთოდები გაამართლონ და ხალხს ანახვებენ, რომ თუ არა სადისტური მეთოდები, ციხის მართვა შეუძლებელია. ეს სიტუაცია „ნაციონალებისთვის“ ძალიან მომგებიანია. ამიტომ ლოგიკურად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ისინი ციხეებში დაძაბულობას ხელს შეუწყობენ. ფარული ჩანაწერები, რომლებსაც გრიფი „საიდუმლო“ ადევს ხოლმე, საიდუმლო კადრები, ამ მასალის გამოჟონვა ამყარებს ეჭვს, რომ ციხეებში არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამის ინსპირირებას მოახდენენ და დაინტერესებული არიან, მაგრამ რამდენად მიაღწევენ რამეს, ეს სხვა თემაა.

**— თუ ბუნტი „ნაციონალების“ წისქვილზე ასხამს წყალს, მაშინ ვინ უნდა აბუნტდეს? ცნობილი „მეცოცხეების“, „ნაციონალების“ სასარგებლოდ აბუნტდებიან პატიმრები?**

– პატიმრებიდან, ყველა მათგანს სურს ერთი რამ, რაც შეიძლება მალე გავიდეს გარეთ, ან სანამ იქ არის, ადამიანური პირობები ჰქონდეს. ეს არის მათი უმთავრესი მიზანი. რაც უფრო გარკვევით დაინახავენ, რომ ამა თუ იმ ქმედებას რაიმე დადებითის მოტანა შეუძლია მათთვის, მით უფრო აქტიურები იქნებიან. ამის ინსპირატორი ვინ იქნება – „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიმე სხვა პარტია თუ თვითონ კრიმინალური სამყარო, მათთვის მნიშვნელობა არ აქვს. მათთვის მთავარი შედეგია.

**დიანა ლიპარტელიანი**

571 80 40 80

---

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...**

### შსს-მ რუსთავში მომხდარი თაღლითობისა და ქურდობის ფაქტი გახსნა



შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული, წარსულში თაღლითობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის ნასამართლევი არტურ გ. თაღლითობისა და ქურდობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ქალაქ რუსთავში, შპს „600“-ის კუთვნილი საჯარიმო ავტოსადგომიდან, დარაჯად მუშაობის პერიოდში, თაღლითური გზით გაასხვისა ორი კვადროციკლი და ორი ავტომანქანა. სხვა ავტომობილებიდან კი ფარულად მოხსნა და უკანონოდ მიითვისა სათადარიგო ნაწილები, რომლებიც გაყიდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. არტურ გ-ს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. (ნიუპოსტი)

---

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

### ქუთაისში სკოლის 2 მოსწავლეს მენინგიტი დაუდგინდა




კლინიკის მთავარი ექიმის ნანა ღონღაძის თქმით, ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვემო საზანოს სკოლის 2 მოსწავლეს ბაქტერიული და ვირუსული მენინგიტი დაუდგინდა.

„ბავშვებს ჩავუტარეთ მკურნალობის კურსი. მათი მდგომარეობა სტაბილურია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთი სკოლიდან არიან, მათ მენინგიტი ერთმანეთისგან არ გადადებიათ“, – აცხადებს ღონღაძე.

მცირეწლოვანი პაციენტების მშობლების თქმით, ბავშვებს თავის ტკივილი, პირღებინება და მაღალი ტემპერატურა აღენიშნებოდათ. ისინი ვარაუდობენ, რომ მენინგიტით ბავშვები სკოლაში დაინფიცირდნენ. (რეპორტიორი)

### სოციალურად დაუცველთა სარეიტინგო ქულების დათვლის წესი იცვლება




ჯანდაცვის სამინისტრო სარეიტინგო ქულების დათვლის წესს ცვლის. უწყებამ ცვლილებები გაერო-ს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციით შეიმუშავა.

სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის, გაიოზ თალაკვაძის განცხადებით:

„სოციალური აგენტის სუბიექტური აზრი აღარ იქნება გათვალისწინებული და ის ქონება, რომელიც იდეაში ყველა ოჯახში უნდა იყოს და აუცილებელია არსებობისთვის, ამოვარდება ქულების დათვლის სისტემიდან, მაგალითად, მაცივარი, გაზქურა და ასეთი ნივთები აღარ იქნება გათვალისწინებული ქულების დათვლის მეთოდოლოგიაში“, – განაცხადა თალაკვაძემ. (რეპორტიორი)



# საქართველოში კირშერეული შაქარი იყიდება?

**„ალიას“ ესაუბრება „ანტიკორუფციული კავშირის“ ხელმძღვანელი გიორგი ბურჯანაძე:**

– დავიწყოთ იმით, რომ შაქარი, რომელიც საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზეა, ძირითადად უხარისხოა. ექსპერტები გვეუბნებიან, რომ დღეს მოხმარებული შაქრის შემადგენლობა გარკვეულწილად სხვაა. კარგად ვიცით, ჭიქაში რომ ადრე სამ კოვზ შაქარს ვყრიდით, დღეს შეიძლება, ხუთი კოვზი არ ეყოს იმ ჭიქას. ავიღოთ შაქრის ფხვნილი, რომელსაც დავიყრით მშრალ ხელის გულზე და ხუთი, ათი წამის შემდეგ ეს მასა გადავყაროთ. ვნახავთ, რომ ხელზე დაგვრჩება თეთრი ფხვნილის მასა, რომელიც მინარევს წარმოადგენს. არსებული მინარევი პროცენტულად არის დაახლოებით შაქრის 15-20%-ი.

**— და რისი მინარევია, რა არის ეს მასა?**

– სპეციალისტები ამბობენ, რომ ესაა კირის ბიომასა. ესაა სწორედ ის მიზეზი, რის გამოც მომხმარებელი ამბობს, სიტკბო აკლია შაქრის ფხვნილსო. აქ კიდევ ერთი მომენტია: ამ ბიომასის შერევის პროცესი ხდება ნესტიან პირობებში. საწყობში, სადაც სარეალიზაციოდ გამზადებული შაქარი დევს, იქ აუცილებლად ნესტი უნდა იყოს, სინესტის დროს ხდება შაქრის მიერ სინესტის შთანთქმა და კირის მასა უპრობლემოდ ერევა ფხვნილს. გარდა ამისა, კიდევ ერთ მაგალითს მოგიყვანთ: ვისაც საყოფაცხოვრებო პირობებში შაქარი შენახული აქვს მინის ჭურჭელში, ხშირად უწევთ ამ ჭურჭლის გარეცხვა, რადგანაც ჭურჭლის გვერდებს უჩნდება ნადები, თქვენ შეგიმჩნევიათ ეს მინის ჭურჭელზე?

**— შემიმჩნევია.**

– კი, ბატონო, და რამდენიმე წლის წინათ, შაქარს ეს თვისება არ ჰქონდა. ანუ, თუ შაქარი სუფთა კრისტალია და თუ მას არანაირი მინარევი არ აქვს, მინის ჭურჭელი გასარეცხი არ უნდა გახდეს.

**— რაც შეეხება თქვენ მიერ ნახსენებ კირს, ეს მინერალი საშიშია ორგანიზმისთვის?**

– მაგას ვერ გეტყვით, მე სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ... კომპანიებია საქართველოში, რომელიც ამ სფეროში სცოდავენ, რადგანაც მიზანი აქვთ, დიდი თანხები ამოიღონ ჩვენი ჯიბიდან. ამაზე უკვე პარლამენტში დაიწყეს მსჯელობა, გოგი თოფაძეს ვგულისხმობ, ისიც ადასტურებს, რომ იმპორტირებული პროდუქციის საკმაო ნაწილი უვარგისია და ეს შემოაქვს იმ უსინდისო ხალხს, რომელიც ამით მილიონებს აკეთებს ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე.

**— თქვენ რომელიმე ლაბორატორიაში თუ შეამოწმეთ შაქარი?**

– ჩვენს არასამთავრობო ორგანიზაციას არ აქვს იმის საშუალება, რომ ლაბორატორიაში ვამოწმოთ ესა თუ ის პროდუქტი, მაგრამ გვაქვს გარკვეული ბერკეტები, კერძოდ, უცხოელი სპეციალისტები გვასწავლიან, რომ მაინცდამაინც ლაბორატორია არ არის იმისათვის საჭირო, რომ მომხმარებელმა გამოიცნოს, მაგალითად, პური შეღებილია თუ არა. ამის ტესტები ვიცით. სურსათის უვნებლობის სააგენტოს შეუძლია, გამოიყენოს ჩვენი ინფორმაცია და ასეთი არაერთხელ მომხდარა თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული ჩვენი ინტერვიუების შემდეგ. წაიღონ ნიმუშები და ნახონ, რით იკვებება საქართველოს მოსახლეობა.

**— აუცილებლად დავუკავშირდებით სურსათის უვნებლობის სააგენტოს, მაგრამ მანამდე, თუ შეიძლება, გვითხარით, პურის ხარისხი როგორ გავარკვიოთ?**

– მოგეხსენებათ, არსებობენ შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ადამიანები, რომლებისთვისაც სპეციალური პური გამოდის, ის რუხი ფერისაა და აწერია: „დიაბეტიანებისთვის“. მაგრამ ამ მხრივ ბევრი პურის მწარმოებელი სცოდავს, როცა ამ ადამიანებს აწვდის პურს და ეუბნება, ეს თქვენთვისააო და ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შეღებილ პურთან. შეღებილი პურის გამოცნობა კი მარტივია: ავიღოთ გადადუღებული და თბილი წყალი, ჩავაგდოთ მასში რუხი, ან შავი პურის ნაჭერი, უმჯობესია ქერქი, და რამდენიმე წუთის შემდეგ თუ წყალი იცვლის ფერს, გამოდის, ის შეღებილია. უჭირთ ადამიანებს შეღებილი პურის გარჩევა ნამდვილისგან. ჩვენ შარშან გამოვითხოვეთ ინფორმაცია შემოსავლების სამსახურიდან და საბაჟო დეპარტამენტიდან და ამ სამსახურებს მოვთხოვეთ, მონაცემთა ბაზა გადმოეცათ და მათ გვითხრეს, რომ ჭვავი და შავი პურის ფქვილი საქართველოში შემოდიოდა, სიტყვაზე, დაახლოებით 100 ტონა, თეთრი ფქვილი კი 500 ტონა. ამით მე თანაფარდობას ვუსვამ ხაზს, მაგრამ სარეალიზაციო ბაზარზე შავ პურზე უფრო მეტი მოთხოვნა იყო, ვიდრე თეთრზე და მართლაც უფრო მეტი შავი პური იყო ბაზარზე და საიდან? ეს რაოდენობა იქიდან ჩნდებოდა, რომ შავი და რუხი პური საღებავის საშუალებით მიიღება და აქვე უნდა ვთქვა ორი სიტყვა დაფქვილ ყავაზე.

**— მანდ რაღა გვჭირს?**

– აქამდე დაფქვილ ყავაში ურევდნენ სოიოს, მაგრამ სოიო ამ ბოლო დროს გაძვირდა და ამჟამად, ჩვენი ინფორმაციით, გამოიყენება ბარდა, იგივე „გაროხი“, როგორც მას ხალხი უწოდებს, და ეს ბარდა მოხალული სახით ერევა ყავის ფხვნილს და რაოდენობას ზრდის. დაფქვილ ყავაში დაახლოებით 30% მინარევებისა სწორედ ეს ბარდაა. არ გაინტერესებთ, საიდან გავიგეთ ეს ინფორმაცია? ერთ-ერთი პიროვნება მოვიდა ჩვენთან და გვითხრა, რომ ვმუშაობდი დაწესებულებაში, რომელიც გლდანში მდებარეობს და ასეთ რამეს გვავალებდა უფროსი, ჩემი ხელით მაქვს პაკეტებში ჩაყრილი დაფქვილი ბარდაო. ასე რომ, ვთხოვ მომხმარებელს, ყურადღებით იყოს და სარეალიზაციოდ გამოტანილი მხოლოდ ყავის მარცვლები იყიდოს, თორემ ყავის ნაცვლად დალევს ბარდას. ყავას თავად ისეთი მკვეთრი სუნი აქვს, ბარდის სუნს სპობს.

**ამის შემდეგ ვუკავშირდებით სურსათის უვნებლობის სააგენტოს პრესცენტრის ხელმძღვანელს გიგა ქურდოვანიძეს:**

**— ანტიკორუფციული კავშირის ხელმძღვანელი გთავაზობთ, შეამოწმოთ შაქარი და ყავა, რადგანაც მისი ინფორმაციით, ამ საკვებ პროდუქტში მინარევების სახით კირი და ბარდაა გამოყენებული.**

– ცოტა ხანი მაცადეთ, ახლავე გადავამოწმებ ინფორმაციას დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ოღონდ უნდა გითხრათ, რომ ჩვენ უვნებლობაზე ვატარებთ კვლევებს. (5 წუთის შემდეგ) სურსათის ეროვნული სააგენტოს გეგმის მიხედვით აღებული აქვს როგორც ყავის, ასევე შაქრის ნიმუშები. შაქრის ნიმუშების აღება ახლაც გრძელდება საქართველოს მასშტაბით, მაგრამ უკვე აღებული ნიმუშის კვლევამ გვიჩვენა, რომ უვნებლობის მაჩვენებელზე დარღვევები გამოვლენილი არ არის. ასევე, შევამოწმეთ ყავის 11 ნიმუში, რომლებიც ძირითადად შემოდის საქართველოში და შესაბამისად, არც აქაა დარღვევები გამოვლენილი. რაც შეეხება კირის შემცველობას შაქარში, კირი ამ პროდუქტში, უბრალოდ, ვერ მოხვდება, რადგანაც ერთმანეთთან შეუთავსებელი ნივთიერებებია.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ვაშინგტონმა საქართველოში დაბადებული თარხან ბათირაშვილი ტერორისტების „შავ სიაში“ შეიყვანა




ვაშინგტონმა საქართველოში დაბადებული თარხან ბათირაშვილი, იგივე ომარ ალ-შიშანი „შავ სიაში“ შეიყვანა. რადიო „ამერიკის ხმის“ ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც ოფიციალურად დადასტურდა, რომ 11 ადამიანი „ისლამურ სახელმწიფოსა“ და სხვა დაჯგუფებებისთვის ფინანსურ დახმარებას უზრუნველყოფდა, ისინი ტერორისტთა გლობალურ სიაში შეიყვანეს.

„ტერორისტებად ეს პირები მას შემდეგ გამოაცხადეს, რაც ოფიციალურად დადასტურდა, რომ ისინი ფინანსურ დახმარებას უზრუნველყოფდნენ სხვადასხვა ექსტრემისტული ორგანიზაციებისთვის. ესენია: „ისლამური სახელმწიფო“, „ალ ნუსრა“, „ალ ქაიდა“ და „ჯამაალ ალ ისლამია“. ტერორისტთა სიაში შეყვანა იმას ნიშნავს, რომ ამ პირთა ფინანსური საქმიანობა და საზღვრების გადაკვეთის მცდელობა ყველა მეთოდით აღიკვეთება“, – იუწყება „ამერიკის ხმა“.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ თარხან თემურის ძე ბათირაშვილი უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ორგანიზაცია „სირიისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ ხელმძღვანელთა რიგებში ირიცხება და არაერთი თავდასხმის ორგანიზატორია. ბათირაშვილი „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერია. მისი დავალებით, 2014 წლის ივნისში, მანქანების, იარაღისა და ტყვია-წამლის მოსაპოვებლად „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები სირიიდან ერაყში გადავიდნენ. ამერიკის მთავრობა აცხადებს, რომ ბათირაშვილი ავტორია ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომუნიკესი, რომელშიც ის „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდასაჭერად ერაყის ქალაქ მოსულში საყოველთაო მობილიზაციას ითხოვს. ბათირაშვილი ასევე არის „ისლამური სახელმწიფოს“ შურას საბჭოს წევრი. 2013 წლის მაისში „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერმა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ ის ორგანიზაციის ჩრდილოეთის სარდლობის მეთაურად დანიშნა. ამჟამად ბათირაშვილის დაქვემდებარებაშია ათასამდე ისლამისტი მებრძოლი. თარხან ბათირაშვილი ცნობილია არაერთი ფსევდონიმით: ომარ ალ-შიშანი, ჩეჩენი ომარი, აბუ უმარ ალ-შიშანი და აბუ უმარი.

სირიაში გამგზავრებამდე ბათირაშვილი ახმეტის რაიონის სოფელ ბირკიანში ცხოვრობდა. ის საქართველოს ჯარში მსახურობდა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილეა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## FOREIGN POLIC-მ მეამბოხეების საქართველოში გაწვრთნის შესახებ სტატია განაახლა



ამერიკული გამოცემის ინფორმაციით, მეამბოხეების გაწვრთნის ინიციატივა ქართულმა მხარემ, აშშ-ის თავდაცვის მდივანს, ჩაკ ჰეიგელს თბილისში ვიზიტის დროს შესთავაზა. პენტაგონში შეთავაზებას განიხილავდნენ, თუმცა ინფორმაციის გასაჯაროების შემდეგ ქართველმა ოფიციალურმა პირებმა ეს ინიციატივა უარყვეს.

იქვე ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ თავდაცვის სამინისტრომ მეამბოხეების საქართველოში გაწვრთნის ინფორმაცია არ უარყო. თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, საქართველო განიხილავს, რა ფორმით მიიღებს ტერორიზმის წინააღმდეგ კოალიციაში მონაწილეობას.

ხსენებულ საკითხზე ინფორმაცია გამოცემამ 23 სექტემბერს გაავრცელა, რომელსაც ინფორმაცია აშშ-ში საქართველოს ელჩმა, არჩილ გეგეშიძემ დაუდასტურა. მოგვიანებით, ელჩმა ეს ინფორმაცია უარყო და ჟურნალისტის შეცდომას მიაწერა. (ნიუპოსტი)

# „მარშრუტკებისა“ და ავტობუსების მძღოლები მერიისგან კაბალური კონტრაქტების შეცვლას მოითხოვენ



ორიოდე დღის წინ ე.წ. „ინტერტრანსის“ – რუსთავი-თბილისის სამარშრუტოს მძღოლმა „ფეისბუკში“ მომწერა: „დღიური გადასახადი დაგვაკისრეს 70 ლარი, გაგვიზარდეს თანხა. მძღოლებმა რომ გავაპროტესტეთ, გვითხრეს, გადაწყვეტილებას არ შევცვლით და ვისაც გადახდა არ უნდა, წავიდეს სამსახურიდანო. ბევრი ვერ გადაიხდის მაგდენს. იქნებ ეს ამბავი გააშუქოთ და გვეშველოსო.

**სიტუაციაში გასარკვევად „ალია“ მძღოლების უფლებადამცველ ნიკოლოზ კაჭკაჭიშვილს დაუკავშირდა:**

**— ბატონო ნიკოლოზ, რა ხდება რუსთავი-თბილისის რეისზე, გადასახადი გაგვიზარდეს 70 ლარამდეო და მძღოლები უკმაყოფილო არიან.**

– ეს არის გეგმით დაწესებული დღიური თანხა, რომელიც თითოეულმა სამარშრუტო ტაქსმა უნდა შეიტანოს კომპანიაში. ძალიან ჩახლართულად იყო მანდ საქმე. ეს „ნაციონალური მოძრაობის“ დროს დაიწყო, მაშინ რუსთავის მერმა ჩვენთან შეხვედრა არ ისურვა, მძღოლები შუაზე გაყვეს, სწორ ინფორმაციას არ აწვდიდნენ და პოლიტიკური სარჩული დაედო. მძღოლების ერთი ნაწილი ამბობდა, რომ ახალი მანქანა არ უნდოდათ, ძველზე აპირებდნენ მუშაობას, რადგან ბანკის კრედიტით ჰქონდათ ნაყიდი მანქანები და გამომუშავებული ფულის დიდი ნაწილის კომპანიისთვის გადახდა არ უნდოდათ, მეორე ნაწილი კი, ისედაც არანაირ მანქანას არ ფლობდა და ერჩივნა, პირდაპირ მიეცათ ახალი მანქანა. ვინც ქირაობდა ამ მძღოლებს, ის იღებდა თანხას იმდენს, რამდენიც უნდოდა, ეს უკონტროლო იყო. მერე გამოჩნდა, რომ მძღოლებს მხოლოდ მუშაობა უნდოდათ და მანქანის მეპატრონე არ აინტერესებდათ. ცოტა დალაგდა სიტუაცია და ახლა კომპანიამ ყოველდღიური გადასახადი გაზარდა.

**— როგორც ვიცი, რუსთავი-თბილისის რეისები საკმაო დატვირთვით მუშაობენ და რატომ აპროტესტებენ. ეგრე სად არის, რომ კომპანიის მანქანაზე დაჯდე და იმუშაო ისე, რომ თანხის უმეტესი ნაწილი ჯიბეში ჩაიდო?**

– აქამდე იყო გადასახადი 50 ლარის ოდენობით, ეს თანხა დაწესდა თავიდან, რადგან ახალი ხაზი იყო, ხალხი სანამ გაიგებდა კარგად. კომპანია პირველ დღეებში საწვავსაც უსხამდა მათ, მაქვს ეს ინფორმაცია. ასე მძღოლს ეძლეოდა საშუალება, გასცნობოდა მგზავრებს. მძღოლები მაშინაც ცუდად მოიქცნენ, დიდი დაპირისპირებები ჰქონდათ ერთმანეთში. ახლა ეს თანხა გაიზარდა. უკმაყოფილო იმიტომ არიან, რომ ამას ემატება მძღოლებისგან გადასახდელი 12 000 ევრო, რომელიც 7 წლის ვადაში უნდა დაფარონ, ხოლო 43 ლარის ზევით არის გადასახდელი საგზურის ფული. 15 ლარის ოდენობით აქვს ფირმას დაწესებული, რომელიც ყველა მანქანიდან უნდა აიღოს, ამას კიდევ დაზღვევის თანხა ემატება და გალიზიანდებიან, აბა, რა იქნება.

**— ამ 70 ლარის გადახდის შემდეგ დაახლოებით რამდენი დარჩებათ მძღოლებს?**

– ზემოთ მოგახსენეთ, რომ, როცა მძღოლები სამუშაოდ გამოვიდნენ, მაშინ კომპანია მათ თანხას არ სთხოვდა, ერჩივნა, ეს ხაზი აეწყო, მერე მოითხოვა თანხა. ეს იცით, როგორ ხდება? ფირმის წარმომადგენელი ჯდება მანქანაში, როცა ეს მანქანა მოძრაობს, 3 დღე ან კვირა აკვირდება სიტუაციას, თან ისე, რომ მძღოლმა არ იცის. მერე დათვალეს ეს თანხა და უთხრეს, რომ ამდენი და ამდენი უნდა გადაიხადოს დღიურად. დიდ ფულს ვერ წაიღებს მძღოლი სახლში, ამ გადასახადის გარდა, როგორც უკვე გითხარით, მანქანის ღირებულების თანხა და სხვა წვრილმანები ექნება გადასახდელი. ამას დაამატეთ მანქანის ცვეთის თანხა, რომელიც ერთ კილომეტრზე 7 თეთრს შეადგენს, საბურავი, ძრავის დაზიანება, საწვავი... ამ ყველაფერს ითვლის ფირმა და რაღა გამოდის? ანუ უფრო გასაგები რომ იყოს, თუ მძღოლმა გააკეთა 200 ლარი და ამას გამოაკლდება ყველა თანხა, რაზეც მოგახსენეთ, 20 ლარზე მეტი არ რჩება, ფირმასაც ასე აქვს გათვლილი ზუსტად, რომ მძღოლს დარჩეს 20-30 ლარი. პირველ დღეებში მძღოლებს მეტი დარჩათ და ხმა არ ამოუღიათ, ახლა კი რომ მოუწიათ გადახდა, უკვე იმატა უკმაყოფილებამ და უკვე პრობლემები შექმნა. ასევე, პრობლემაა ის, რომ მანქანები არის ძვირი და მძღოლმა ის უნდა შეისყიდოს, შეუძლია წინსწრებითაც დაფაროს თანხა, სახლში რაც მიაქვთ, იმის გარდა, დღეში 25 ლარის გადახდა უწევთ, მაგრამ ესეც ეძვირებათ.

**— ბატონო ნიკოლოზ, ახლა ჩვენს ადრინდელ საუბარს მინდა დავუბრუნდეთ. თქვენ აპირებდით მთელი რიგი საკითხების დასმას თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ხელმძღვანელთან, გქონდათ მთელი პაკეტი მომზადებული. თუ შეხვდით და რა შედეგით დასრულდა?**

– ჩვენ ადრეც ვწერდით ამ თემაზე და იცით, რამდენი პრობლემა აქვთ მძღოლებს? 10 დღის წინ შევხვდი ჯაჭვლიანს, გავიცანით ერთმანეთი, გავიარეთ საკითხები. დაგეგმილი გვაქვს სამშაბათს შეხვედრა და დეტალურად გავივლით კიდევ ერთხელ. ასევე, შემოსავლების სამსახურშიც უნდა მივიდეთ, რომ ყველა დოკუმენტი გასწორდეს. მძღოლს არ უნდა ეშინოდეს, რომ დაადგება თავზე საგადასახადო სამსახური. ეს არის პირველ რიგში მოსაგვარებელი საკითხი და სწრაფად უნდა მოგვარდეს. ბევრი სხვა წინადადება და შეხედულებებიც მაქვს და რომ ჩამოვყალიბდები, ამაზეც დაველაპარაკები. ალბათ, ყველაფერზე გაგვცემენ პასუხს.

**— მარტო მერიას რომ მიმართავთ, „მარშრუტკები“ და ყვითელი ავტობუსები კერძო კომპანიები არიან და მათაც თუ ესაუბრეთ?**

– ეს კომპანიები უნდა დაიბაროს მერიამ, მან გააფორმა ამ კომპანიებთან ხელშეკრულებები, რომელიც უნდა გადაიხედოს. ეს ხელშეკრულებები კაბალურია და მძღოლის ინტერესები საერთოდ არ არის გათვალისწინებული. განადგურებულია ეს სფერო და მხოლოდ კონკრეტული დირექტორების ინტერესებზეა მორგებული. არავინ იხედება ხელშეკრულებაში, ზეპირი განცხადების საფუძველზე ცვლიან მას. ამიტომ აქვს ცუდი მომსახურება ქალაქს. თუ სურთ, რომ მძღოლს ფეხი დააბიჯონ, მათ ეს არ გამოუვათ. ახალი ხელშეკრულებები უნდა დაიდოს, რადგან ეს დირექტორები სისხლს სწოვენ მძღოლებს, მგლის ხელში ცხვარს როდის გაუხარია? ახლა კიდევ შემოდის ავტოდაზღვევა, კაცმა არ იცის, რას დააზღვევენ, მძღოლებს ამის ახსნა სჭირდება და როცა შევხვდებით მერიაში, მოვითხოვ, არასამთავრობოებთან ერთად განვიხილოთ ეს საკითხი. უამრავი არასამთავრობოა, რომლებმაც ვითომდა მძღოლების დაცვაში მიიღეს გრანტები, სინამდვილეში სიტყვიერადაც კი არ თანაუგრძნობენ მათ. იქნებ გავაკეთო 100-ლარიანი დაზღვევა, არ ვიცი, ეს რას აანაზღაურებს, ამას დეტალებში უნდა განხილვა და ვაპირებთ ამ თემის წამოჭრასაც. ბევრი საქმეა გასაკეთებელი და ჯერ არ გაკეთებულა. თუ თვითონ არ იციან, ჩვენ გვკითხონ და რომ გაიძახიან, ევროპული ქვეყანა ვართო, ჩვენი ტრანსპორტით არა მხოლოდ ქართველები, უცხოელებიც მგზავრობენ და არ იტყვიან, როგორი მოშლილია ეს სფეროო? ამიტომ დროული მიხედვა უნდა ამ საკითხებს.

**დაწესებულ გადასახადთან დაკავშირებით კომპანია „ინტერტრანსთან“ გვსურდა საუბარი, მაგრამ, სამწუხაროდ, კომპანიის საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ვერ მოვიძიეთ. თუ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება მოუნდებათ, „ალია“ მათაც მოუსმენს.**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „საქართველო და სომხეთი მუსლიმანურ სამყაროში ქრისტიანული ოაზისი არიან“



ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საპატრიარქოში სომეხთა თემის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს განაცხადა:

„ძალიან რთულ დროს ვცხოვრობთ. საერთაშორისო ურთიერთობები ძალიან რთულია. სომხეთი და საქართველო ეს არის ოაზისი მუსლიმანურ სამყაროში. მახსენდება ჩემი შეხვედრა რომის პაპთან ვატიკანში. მან გადმოიღო ატლასი და საქართველოსა და სომხეთის გეოგრაფიული მდებარეობა ნახა. მითხრა, როგორი რთული გეოგრაფიული მდებარეობა აქვს საქართველოსა და სომხეთს, რომ ისინი არიან ქრისტიანული ოაზისი. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვიყოთ ერთმანეთის მიმართ. ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ესა თუ ის წარმომადგენელი ჩვენი ერის, ეს იქნება ქართველი თუ სომეხი, ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომ ავნებს ჩვენს ურთიერთობებს.

თქვენი იმედი მაქვს, რომ თქვენ გესმით, რას ნიშნავს ჩვენი სიახლოვე. როცა კარგად იყო საქართველო, კარგად იყო სომხეთიც და პირიქით, როცა ცუდად იყო საქართველო, ცუდად იყო სომხეთიც. ამიტომ ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ურთიერთობებს. მე მინდა ვთქვა, რომ საქართველოში მცხოვრები სომხები ამას კარგად გრძნობენ, მე მადლობელი ვარ ამ ყურადღებისა და გაგებისთვის“, – აღნიშნა უწმინდესმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## ქუჩაში ალკოჰოლის მიღების აკრძალვა დანაშაულის პრევენციას შეუწყობს ხელს



არასამთავრობო ორგანიზაცია, „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ ეხმიანება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ალკოჰოლის მოხმარებასთან დაკავშირებით მიღებულ იმ რეგულაციებს, რომლებიც ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას ითვალისწინებს.

„როგორც საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171-ე მუხლის მიხედვით, სამართალდამრღვევს პირველ შემთხვევაში 50-დან 150 ლარამდე ჯარიმა დაეკისრება, ხოლო ერთი წლის განმავლობაში ანალოგიური ფაქტის განმეორების შემთხვევაში ჯარიმა 500 ლარი იქნება. ამავე ადგილებში ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში ყოფნა ჯარიმდება 300 ლარით.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ინიციატივა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნებისთვის, რადგან ის მოახდენს სასმელზე დამოკიდებულების ერთგვარ პრევენციას, ასევე შეამცირებს ხულიგნობისა და არაეთიკური ქცევის ფაქტებს. აღნიშნული ცვლილებები შესაძლოა, ასევე, შეფასდეს კრიმინალისკენ მიდრეკილების პრევენციადაც. გამომდინარე იქიდან, რომ ახალგაზრდების მიერ ჩადენილ დანაშაულთა უმეტესობა სითამამისგან გამოწვეულ გაუაზრებელ ქმედებებს წარმოადგენს და მათი ძირითადი მაპროვოცირებელი კომპონენტი ალკოჰოლური თრობაა, აკრძალვის ეს ფორმა საფუძველშივე მოახდენს დანაშაულებრივი ქმედებისკენ მიდრეკილი მოქმედებების პრევენციას“.

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ აუცილებელია სისტემატური კონტროლი სკვერებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში, თუმცა ახალი რეგულაციები არ უნდა იქცეს ბიუჯეტის შევსების წყაროდ. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




ექიმი დიეტოლოგი პაციენტს ეკითხება:

– რამდენი კილოგრამი ხართ წონაში?

– 116 კილო ვარ, მაქსიმალური წონა კი 121 მქონდა.

– და მინიმალური?

– 3 კილო და 600 გრამი...

*****

– გოგონი, რამდენი სექსუალური პარტნიორი გყოლიათ?

– სამი... უი, არა, ცხრა! კიდევ ერთი შემთხვევა გამახსენდა და...

*****

– თუკი თქვენი სახლების სიახლოვეს განთავსებულ ბილბორდებზე ვიღაცების გამოშტერებული სიფათები გამოჩნდა, ესე იგი სულ მალე არჩევნებია...

*****

შეფი მდივანს:

– კვირას რას აკეთებთ?

მდივანი განაზებული ხმით:

– არაფერს!

– კარგია! მაშინ მომეცით უფლება, შეგახსენოთ, რომ დღეს კვირა არ არის!

*****

– რომელ გამოჩენილ პროვოკატორებს იცნობ?

– მხოლოდ ერთს.

– ჰო, თქვი, აბა...

– კომპოზიტორ მენდელსონს!

– რატომ არის მენდელსონი პროვოკატორი?!

– იმიტომ, რომ მილიონობით სულელისთვის ნაზი და მომხიბვლელი „საქორწინო მარში“ დაწერა, თავად... თავად კი მთელი ცხოვრება ცოლის გარეშე განვლო!..

*****

– არცთუ ისე საშიშია სულელი, ვიდრე სულელი ინიციატივით, თანაც, საკანონმდებლო ინიციატივით!..

*****



– ეს საშინელი ტრავმა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიიღეთ?

– დიახ.

– ალბათ, ძალიან სწრაფად მართავთ!

– არა, ძალიან ნელა დავდივარ!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# მსოფლიოს მედიცინის დაუჯერებელი ინციდენტები

ყველა რომ დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, მაგრამ ძალიან ბევრია მამაძაღლობის ფაქტი და რას ვიზამთ?! ასე მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ ხალხზე იზრუნონ, პოლიტიკოსებს თავიანთი თავები სექ-



სესილ იაკობსონი

სუალური გიგანტები ჰგონიათ და 80 მეძავს ერთდროულად „ბურჯგნიან“. მოსამართლეებისთვის მთავარია, თემიდას სასწორზე უფრო მძიმე მუშტი დაიდოს, მაშინვე მართალ კაცს ისე გაამტყუნებენ, უკან ერთს არ მოიხედავენ. ექიმების დიდ ნაწილს საერთოდ არ ახსოვს ჰიპოკრატე, მის ფიცზე ხომ საერთოდაც ზედმეტია ლაპარაკი და ჩვენც სწორედ ამ უკანასკნელებზე მოგიყვებით, რომლებსაც ისეთი საქმეები აქვთ ჩადენილი, ნორმალურ ადამიანს დაჯერება რომ გაუჭირდება. აგერ, ბატონო, შესანიშნავი მაგალითები:

– ექიმი, რომელმაც პაციენტის საშვილოსნოზე მისი სახელი დააწერა – „ნახე, საშვილოსნოზე რა დაგიწერე“, – უთქვამს კალიფორნიელ ქირურგს ინგრიდ პაულიცივიკისთვის, რომელსაც საშვილოსნოს ამოკვეთის ოპერაცია ჩაუტარდა. „ტკივილებისგან რომ კითხვა არ შემიძლია“, – პასუხი გასცა პაციენტმა. მაშინ, ექიმმა დაუმარცვლა: „ინ-გრიდ პა-ულ-ი-ცი-ვი-კი“...

სწორედ ასეთი გაუგონარი და დაუჯერებელი შემთხვევა მოხდა კალიფორნიაში, სადაც ექიმმა, რომლის ვინაობაც არ ზუსტდება, ვინმე ინგრიდ პაულიცივიკს საშვილოსნო ამოკვეთა და სიურპრიზი დაახვედრა – სპეციალური მოწყობილობით სხეულის ორგანოზე მისივე გვარ-სახელი დაწერა.

პაციენტმა ექიმის გამოხტომა გააპროტესტა და მაშინვე სასამართლოს მიმართა არაეთიკური საქციელის გამო. ახლა დაუფიქრებელ ქირურგს შეურაცხყოფილი პაციენტისთვის ჯარიმის გადახდა მოუწევს და შესაძლოა, ლიცენზიასაც გამოემშვიდობოს.

– ოპერაციის დროს ქირურგი ფეხბურთს უყურებდა – „არის თუ არა ეს ბილეთი?!“ განწირული ხმით გაჰყვიროდა ერთი შვეიცარიელი ქირურგი, რომელსაც ხელმძღვანელობამ ზუსტად მაშინ წაასწრო, როცა გათიშული და გაჭრილი პაციენტი მაგიდაზე ეწვა, თავად კი ფეხბურთს უყურებდა. თურმე, ექიმს მატჩზე დასასწრები ბილეთი ჯიბეში სდებია, მაგრამ მოულოდნელობის გამო სტადიონზე წასვლა ვერ მოუხერხებია.

ალნიშნული ინციდენტის მთავარი გმირი შვეიცარიელი ქირურგი ვინსენტ ბეტჩარტი გახლავთ, რომელმაც ექთნებსა და დამხმარე პერსონალს საოპერაციოში ტელევიზორის შეტანა დიდხანს ეხვეწა და საბოლოო ჯამში, მათი დაყოლიება შეძლო კიდეც.



ვინსენტ ბეტჩარტი

საინტერესოა, რომ ინციდენტამდე ერთი თვით ადრე იმავე ვინსენტ ბეტჩარტმა პაციენტი ოპერაციის მსვლელობისას მიატოვა, „პერერივი“ მოაწყო და სასადილოში ალკოჰოლური სასმელის დასალევად წავიდა...

საბოლოო ჯამში, ქირურგი ექიმის ლიცენზიას სამუდამოდ გამოეთხოვა. ორივე პაციენტი, საბედნიეროდ, გადარჩენილა.

– ხელოვნური განაყოფიერებისთვის ექიმი მხოლოდ საკუთარ სპერმას იყენებდა – „ამ პაციენტსაც გავანაყოფიერებ და მერე მთელი სოფელი ჩვენ ვიქნებით“, – ოცნებობდა სესილ იაკობსონი, აწ უკვე ყოფილი სპეციალისტი, რომელიც ხელოვნური განაყოფიერების საკითხებზე მუშაობდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ პაციენტების თანხმობის გარეშე, ის მომავალ დედებს საკუთარი სპერმით ანაყოფიერებდა, დონორების სპერმას კი უნიტაზში ღვრიდა.

სულ რამდენი ბავშვის მამა გახდა სესილ იაკობსონი, ამის დადგენა სამართალდამცველებმა ვერ შეძლეს, თუმცა ის კი ცნობილია, რომ იაკობსონს თეთრი ხალათის ჩაცმის უფლებაც აღარ აქვს, არათუ პაციენტებთან მუშაობის.

– ტიტანის იმპლანტანტის ნაცვლად, „ატვიორკა“ გამოიყენა – „ტიტანის იმპლანტანტის ნაცვლად, სხვა რამე რომ შევთავაზო?“ – ჩუმი ჩანაფიქრი მაშინვე განახორციელა და პაციენტს ხერხემალში ჩვეულებრივი სახრახნისი ჩაუდგა ჰავაელმა ქირურგმა, მამაძაღლმა რობერტ რიკესტონმა.

როგორლაც, მისი შარლატანობა კლინიკის ხელმძღვანელობამ გაიგო, ექიმმა კი თავი იმართლა, ტიტანის იმპლანტანტები გამომელია და აბა, საიდან უნდა გამეჩინა, „რიკესტონი ვარ, ქრისტე ღმერთი კი არაო“...

ცნობილია ისიც, რომ პაციენტი, რომელსაც არტურო იტურალდე ჰქვია, 73 წლის გახლავთ. მას ინციდენტის გამოვლენიდან რამდენიმე დღეში დამატებითი ოპერაციები ჩაუტარდა, სხვა სპეციალისტებმა ხერხემლიდან უცხო სხეული ამოაცალეს და ხერხემალი საჭირო იმპლანტანტით გაუმაგრეს. ცხადია, კლინიკის ხარჯზე, აი, რობერტ რიკესტონი კი ახლაც ექიმობაზე ოცნებობს და „ატვიორკის“ გამომგონებლის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობს.



– სასიყვარულო „აპგრეიდი“ – „დამიპყარი, ჭიჭიკია, დამიპყარი ჭიჭიკია“, – აღგზნებული გაჰკიოდა ნაზიკიე. „ქე გიშვები, შე ქალო და მაინცდამაინც ალყას ხომ არ შემოგარტყამო“, – შუბლიდან ოფლი ჩამოიწმინდა ჭიჭიკიამ...



ნახე, საშვილოსნოზე რა დაგიწერე...

ყოფილა ამერიკაში ვინმე ჯეიმს ბარტი, პროფესიით გინეკოლოგი, რომელიც ახლად ნამშობიარებ პაციენტებს გენიტალიებზე პლასტიკურ ოპერაციებს უტარებდა, მათივე სურვილით, რასაკვირველია. ერთი, რასაც ბარტი სცოდავდა, ის იყო, რომ ნარკოზის ქვეშ მყოფი პაციენტების სასქესო ორგანოებზე გარკვეულ მანიპულაციებს ახდენდა, რის შედეგადაც ქალები ნამდვილი სექსგიგანტები ხდებოდნენ და ქმრებსა და საყვარლებს სასოწარკვეთაში აგდებდნენ: „სუსტი სქესი ეძახე შენ და რამხელა ენერგია მიაქვთო“, – წუწუნებდნენ ისინი.

საბოლოო ჯამში, ჯეიმს ბარტის მამაძაღლობების შესახებ მისმა პაციენტებმა შეიტყვეს და გინეკოლოგისგან 21 მილიონი აშშ დოლარი მოითხოვეს.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ბარტი არავინ დააპატიმრა, რადგან მან სამედიცინო ლიცენზიაზე უარი საკუთარი სურვილით განაცხადა. როგორც ჩანს, ლიცენზიაზე უარის თქმა შემამსუბუქებელი ფაქტორია(?!).

– ტატუ-სიურპრიზი – ექიმი სტივენ კირშნერი, გამოცდილი ქირურგ-ორთოპედი ნიუ-ჯერსიდან, მიიჩნევდა, რომ გამოჯანმრთელებაში პაციენტს სასიამოვნო სიურპრიზები და მოულოდნელობები სჭირდებოდა. ერთი მხრივ, შესაძლოა, კირშნერი მართალიც იყო, მაგრამ იდეის რეალიზებას ის არცთუ მისასალმებელი გზებით ახდენდა – ოპერაციების შემდეგ პაციენტები ეროგენული ზონების მიმდებარე ტერიტორიაზე სვირინგებს ნახულობდნენ.

სულ ერთი პაციენტის ჩივილი გახდა საკმარისი იმისთვის, რომ სტივენ კირშნერის წინააღმდეგ სასამართლოებში ათობით სარჩელი შესულიყო.

რა ბედი ეწია ქირურგს და რა განაჩენი გამოუტანა მოსამართლემ, სამწუხაროდ, ალარ ზუსტდება.

– ექიმი ბოროტება – ეს ის შემთხვევაა, როცა ხუმრობა ნამდვილად უადგილო იქნებოდა – 56 წლის პედიატრი ერლ ბრედლი დელავერის პოლიციამ 471 დანაშაულის ჩადენის ბრალდებით დააკავა. მათ შორის, ასეულობით შემთხვევა მოზარდების გაუპატიურებას უკავშირდებოდა. ბრედლის „გმირობები“ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მისმა მეზობელმა შემთხვევით ვიდეოჩანაწერები აღმოაჩინა. თურმე, ექიმი ყველა თავის დანაშაულს კამერით იღებდა, რაც გახდა კიდეც ციხეში მისი სამუდამოდ გამოკეტვის პირდაპირი ბილეთი.

**neobychno.com**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## დუბაიში პირველი კლონირებული აქლემი „დაიბადა“



მას შემდეგ, რაც 1996 წელს შოტლანდიაში ცხვრის კლონირება მოხერხდა, რომელსაც გახსოვთ, ალბათ, სახელად დოლი ერქვა და რომელმაც 6 წელი იცოცხლა, იმავე მეთოდით მკვლევარებმა კიდევ ბევრი ცხოველი მიიღეს – ძროხები, თხები, ცხენები და ასე შემდეგ. ამ ცოტა ხნის წინ კი დუბაის ვეტერინარული კვლევითი ლაბორატორიის სპეციალისტებმა პირველი აქლემის კლონირება შეძლეს.

როგორც ირკვევა, აქლემის პირველ კლონს სახელად ინჯაზი დაერქვა, რაც არაბულიდან ითარგმნება, როგორც „მიღწევა“.

წარმატებული ექსპერიმენტის ავტორების განმარტებით, ამიერიდან ისინი შეძლებენ ელიტარული ჯიშის აქლემების გენოფონდის შენარჩუნებას, რაც დღემდე შეუძლებელი იყო.

**nano-planet.org**

## ტუალეტში კითხვა ძალიან სახიფათო „ჰობია“



ერთგვარ ტრადიციასავით აქვს ზოგ ადამიანს – ტუალეტში შესული სანამ რომელიმე საგაზეთო პუბლიკაციას არ წაიკითხავს, შემდეგ მასზე საფუძვლიანად არ დაფიქრდება და საკუთარ დასკვნასაც არ გამოაცხობს, გარეთ გამოსვლა არ იცის.

და როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება ტუალეტში კითხვა მავნებელი იყოს? ჯერ ერთი, რომ სავსებით შესაძლებელია, სხვასაც უნდოდეს ბუნებისთვის პასუხის გაცემა, მაგრამ აბა, სანამ კითხვის მოყვარულს უნიტაზზე ჯდომისგან ფეხები არ დაუბუჟდება, გარეთ გამომსვლელია? თუმცა მთავარი უსიამოვნება სულ სხვაა – რატომ, არ ვიცით, მაგრამ ამერიკელმა მეცნიერებმა გადაწყვიტეს, დაედგინათ, რა შედეგი შეიძლება მოუტანოს ადამიანის ჯანმრთელობას ტუალეტში კითხვამ. აღნიშნული მიზნისთვის მათ ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის ფარგლებშიც მოხალისეები თვეების მანძილზე უნიტაზზე მოკალათებულები ხან გაზეთებს კითხულობდნენ, ხან კი მხატვრულ ლიტერატურასაც ეცნობოდნენ, ინტერესებიდან გამომდინარე. საშუალოდ, „ტუალეტურ განათლებას“ ისინი დღეში ნახევარ საათს უთმობდნენ.

ჰოდა, დადგინდა, რომ 8 თვის შემდეგ, ექსპერიმენტის 124 მონაწილიდან 56-ს სხვადასხვა სიმძიმის ბუასილი გაუჩნდა. ასეთი შედეგის მიღებისთანავე მეცნიერებმა კვლევა შეაჩერეს, რათა სხვა ადამიანებიც არ დაზარალებულიყვნენ.

იქიდან გამომდინარე, რომ ბუასილს დაჟინებული მზერა ვერ არჩენს და ამ დაავადებას საკმაოდ სერიოზული მკურნალობა სჭირდება, შეგვიძლია მხოლოდ ერთი დასკვნა გამოვიტანოთ – ტუალეტში კითხვა ძალიან სახიფათო „ჰობია“.

**toogeza.com**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ფილმი ამ მსახიობების მონაწილ.
2. ერთად მცხოვრები მშობლები და შვილები
3. თვითმფრინავის საჰაერო ხრახნი
4. სპორტული ნავი
5. უმაღლესი სასწავლო დაწესებულ.
6. დედამიწის ნულოვანი სარტყელი
7. რეჟისორი ... ტარანტინო
8. ბამბის თხელი ქსოვილი
9. გაზაფხულის თვე
10. ცული
11. სასულე კლავიშიანი ინსტრ.
12. მცენარე, აკლდებენ მწნილს
13. ... პუგაჩოვა
14. მისი დედაქალაქია ტალინი
15. განგაშის ხმა
16. ბამბუკის დათვი
17. ჩონჩხის ნაწილი
18. დიდი საჯარისო შენაერთი
19. შინაური ფრინველი
20. ნაცია
21. წელიწადის სეზონი
22. მსახიობი ... უიზერსპუნი
23. მხარე დას. საქართვ.
24. მინდორი
25. აჭარული ცეკვა
26. მსოფლმხედველობა
27. ინდოეთში: საკულტო ტაძრის მოცეკვავე ქალი
28. მსახიობი კოლინ ...
29. პოლიტიკოსი ... ჩიხრაძე
30. მხატვარი ამედეო ...
31. მეფის თანმხლები პირები
32. ელექტრომემკვიდრეობელი
33. გლაზგოს საფეხბ. კლუბი
34. ინის საპირისპირო
35. ცვილის ძელაკი პატრუქით
36. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
37. ნაჭრის მრგვალი ქუდი
38. ჭაობის მცენარე
39. არსენა მარაბდელის ნათლიმამა
40. მდინარე ორინოკოს ველი
41. რეჟისორი ... რიჩი
42. მწერალი ჟიულ ...
43. ყვავილის ნექტრის პროდუქტი
44. ნივთების ფასის გადაუხდელად წაღება
45. ... ულენშპიგელი
46. ოთხში ამოლებული თხის ტყავის ჭურჭელი
47. ქაჩალი
48. კონტინენტი
49. თევზების სპეციალისტი
50. ადმირალი ჰორაციო ...
51. სისხლისმწოველი ჭია
52. იგავების კრებული: „... და დამანა“
53. ჩანთოსანი სამხრ. ამერიკაში
54. მულტიპლიკატორი უოლტ ...
55. თაგვის სადგომი ხვრელი
56. მოკრივე ... მარჩიანო
57. უზენაესი ღმერთი სკანდ. მითოლოგ.
58. მზის სისტემის უდიდესი პლანეტა
59. ძალიან ტკბილი ნივთიერება
60. შესახედაობა
61. მომწამვლელი ნივთიერება
62. მწერალი ... გორკი
63. მსახიობი ... მაგუაიერი
64. რიცხვი 3,14
65. მომღერალი ედიტ ...
66. სპექტაკლი „ბერნარდა ... სახლი“
67. მათემატიკური ნიშანი
68. რუსული სიმებიანი საკრავი
69. ფრედი მერკურის ანსამბლი
70. მწერალი ალბერ ...
71. მეხსიერების დაკარგვა
72. თბილისის ძველი სახელწოდ.
73. ძვ. ეგვიპტის დედოფალი
74. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
75. ტანმოვარჯიშე ნადია ...
76. ცხენირემი
77. მსხვილი სოსისი
78. საქონლის ნეკნებშუა ნაჭერი
79. ბილიარდის ჯოხი
80. რომის იმპერატორის ტიტული
81. მომღერალი დაიანა ...
82. დალისა და სულკალმახის შვილი
83. უქონრო თუთიყუში
84. „ტრისტან და ...“
85. რეჟისორი ... სკორსეზე
86. მაჰმადიანთა სარწმუნოება
87. პოლიტიკოსი იულია ...
88. ჯეიმს კამერონის ფილმი
89. ფრანგი არქიტექტორი
90. ბალერინა ... ნიორაძე
91. მსახიობი შირლი ...
92. არაკეთილმოსურნე, დუშმანი
93. დაბურული, უღრანი ტყე
94. საფოსტო გზავნილი
95. მომღერალი ფილიპ ...
96. ველოდრომი
97. მადაგასკარული ... კატა
98. „ომი და მშვიდობა“. ნატაშა ...
99. სამხრ. ამერიკული ჩაი
100. იაპონელი მწერალი კობო ...
101. ამერიკული სიმებიანი საკრავი
102. ეგვიპტის ფარაონების სამარხი
103. მსახიობი მარლონ ...
104. მწერალი ... ბულაძე
105. ღვინის საწყაო
106. სრული გამარჯვება ძიუდოში
107. ახალი ზელანდიის აბორიგენი
108. ალკოჰოლური სასმელი
109. ყურე
110. მორთული ჩარდახი სვეტებზე
111. ჭიგო ლობიოსათვის
112. ვაზის მოლუსკი
113. თაღი
114. ცხვრის ნაშიერი
115. მწვანილი
116. ჩვილი ბავშვი
117. კომიკოსი ჰაროლდ ...
118. რას არქმევენ ადამიანს
119. ინგლისური ლუდი
120. ცისარტყელას ერთ-ერთი ფერი
121. აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი
122. პინგვინების გუნდი
123. ზანდუკი
124. ქიმიური ჭურჭელი
125. ცეცხლის მოკიდება, ანუ ...
126. ჩხუბი
127. სოფელი რაჭაში
128. კოსტიუმირებული წვეულება
129. ბრედ პიტი ფილმში
130. გერმანული ავტომობილი
131. ჯიხური, იყიდება ჟურნალ-გაზეთები
132. კაციჭამია
133. შვედური ანსამბლი
134. პირის ღრუს გაგრძელება
135. პანტომიმის მსახიობი ... მარსო
136. კურკოვანი ხილი
137. მექანიზმში: მოძრაობის გადამცემი ღერო
138. მსახიობი ბრიუს ...
139. ჟაკლინ კენედის ქალიშვილ. გვარი
140. კრემიანი ნამცხვარი
141. სასეირნო გემი
142. მეცნიერი ... ვეკუა
143. მომღერალი ... ქერი
144. საგალობელი „...- მარია“
145. მსახიობი ... ბლუმი







პასუხები: 1. „მეხუთე ელემენტი“; 2. ოჯახი; 3. პროპელერი; 4. ბაიდარა; 5. უნივერსიტეტი; 6. ეკვატორი; 7. კვენტინ; 8. ჩითი; 9. მაისი; 10. ნაჯახი; 11. ორგანი; 12. ჯონჯოლი; 13. ალა; 14. ესტონეთი; 15. სირენა; 16. პანდა; 17. ხერხემალი; 18. არმია; 19. მამალი; 20. ერი; 21. ზამთარი; 22. რიზ; 23. იმერეთი; 24. მდელო; 25. „განდაგანა“; 26. კრედო; 27. ბაიადერი; 28. ფარელი; 29. ფიქრია; 30. მოდილიანი; 31. ამალა; 32. მონტიორი; 33. „სელტიკი“; 34. იანი; 35. სანთელი; 36. გალოპი; 37. ბერეტი; 38. ლელქაში; 39. ფარსადანი; 40. ლიანოსი; 41. გაი; 42. ვერნი; 43. თაფლი; 44. ნისია; 45. ტილ; 46. ტიკი; 47. მელოტი; 48. აზია; 49. იქთიოლოგი; 50. ნელსონი; 51. წურბელა; 52. ქილილა; 53. ოპოსუმი; 54. დისნეი; 55. სორო; 56. როკი; 57. ოდინი; 58. იუპიტერი; 59. ქსილიტი; 60. იერი; 61. იპრიტი; 62. მაქსიმ; 63. ტობი; 64. პი; 65. პიაფი; 66. ალბას; 67. მინუსი; 68. ბალალაიკა; 69. „ქვინი“; 70. კამიუ; 71. ამნეზია; 72. ტფილისი; 73. ნეფერტიტი; 74. კრეტა; 75. კომანეჩი; 76. ლოსი; 77. სარდელი; 78. ანტრეკოტი; 79. კიი; 80. კეისარი; 81. როსი; 82. ამირანი; 83. არარა; 84. იზოლდა; 85. მარტინ; 86. ისლამი; 87. ტიმოშენკო; 88. „ავატარი“; 89. ეიფელი; 90. ირმა; 91. მაკლეინი; 92. მტერი; 93. უდაბური; 94. ამანათი; 95. კირკოროვი; 96. ტრეკი; 97. ლემური; 98. როსტოვა; 99. მატე; 100. აბე; 101. ბანჯო; 102. პირამიდა; 103. ბრანდო; 104. ლაშა; 105. ჩაფი; 106. იპონი; 107. მაორი; 108. ვისკი; 109. უბე; 110. ბალდახინი; 111. ჯღა; 112. ლოკოკინა; 113. არკა; 114. კრავი; 115. ოხრახუში; 116. ალუა; 117. ლოიდი; 118. სახელი; 119. ელი; 120. იისფერი; 121. ფარჩა; 122. კოლონია; 123. სკივრი; 124. სინჯარა; 125. აალება; 126. დავა; 127. ირი; 128. მასკარადი; 129. „ტროა“; 130. „აუდი“; 131. კიოსკი; 132. კანიბალი; 133. „აბბა“; 134. ხახა; 135. მარსელ; 136. ბალი; 137. ლილვი; 138. ლი; 139. ბუვიე; 140. ტორტი; 141. იახტა; 142. ილია; 143. მერაია; 144. ავე; 145. ორლანდო. იკითხება: იოვოვიჩი. უილისი. ოლდმენი. ტაკერი.



1. მოცარტის მოქიშპე კომპოზიტორი
2. ისტორიული შუამდინარეთი
3. იოსებ ჯუღაშვილი
4. წიწვოვანი ხის ყვავილედი
5. რუსული ხის თოჯინები
6. გემი ორი კორპუსით
7. „სამგროშიანი ...“
8. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
9. მაღაზიის დიდი მინა
10. მშიშარა
11. ბრიუს უილისი ფილმში
12. მომწამლავი აირი
13. უკრაინული ცეკვა
14. მსახ. ... ბესინჯერი
15. ნარინჯისფერი პიგმენტი
16. მსახ. ... ბერიკაშვილი
17. მტაცებელი თევზი ამაზონში
18. მსახიობი ჟანა ...
19. ვიოლინოს ჯოხი
20. პროვინცია იტალიაში
21. ანტილოპას სახეობა
22. დაბა სვანეთში
23. ძველმანი ნივთები
24. ერთიანი ნარდში
25. დონ კიხოტის ცხენი
26. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
27. მსაჯი
28. მან აალორძინა ოლიმპ. თამაშები
29. თეთრი ნიშანი ხარის შუბლზე
30. მცენარე. ისხამს ყურძენს
31. სამიანი ნარდში
32. დედნიდან გადასაღები ხელსაწყო
33. შინაური ცხოველი
34. შუშა
35. რადიოს იტალიელი გამომგონებელი გილიერმო ...
36. მდინარე გერმანიაში
37. მეჩეთი ...-სოფია
38. მუშათა მოძრაობიდან: დოლორეს ...
39. ფრანგი წინასწარმეტყველი
40. აზერბაიჯანის ფულის ერთეული
41. აშშ-ს დედაქალაქი
42. ბუნების ამსახველი ნახატი
43. ჟურნალისტი ... გრიგოლია
44. თბილისის უბანი
45. ღორის ნაშიერი
46. მონღოლეთის დედაქალ. ...-ბატორი
47. საფეხბურთო კლუბი „...-04“
48. ნაგებობა მდინარეზე
49. სოფელი ოზურგეთ. რაიონში
50. ექს-პრეზიდენტი ბილ ...
51. მდინარე გერმანიაში
52. ქედი ევროპაში
53. ტერიტორიული ერთეული ძველად
54. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
55. იგავი
56. იაპონური მულტიპლიკაცია
57. სახელმწ. აფრიკაში ...-დივუარი
58. დიდი ციგა
59. ჩვილი ბავშვი
60. მხ/ფ „... კაკალი“
61. საქმის პროფესიონალი
62. ჩილეში: ... კორვალანი
63. კავშირი, გაერთიანება
64. თითის დამცავი კერვისას
65. გემის მოძრავი კიბე
66. ქვანახშირის აუზი გერმანიის ტერიტორიაზე
67. შურისძიება სიცილიურად
68. გასასვლელი მდინარეზე
69. ირლანდიელების წმინდანი
70. ავტომრბოლელი ... სენა
71. კუთხე საქართველოში
72. შიშველი სხეული მხატვრობაში
73. მხატვარი პაბლო ...
74. აღტაცების გამოხატვა თეატრში
75. ქვეყნის ისტორია
76. იაპონური თაიგული
77. ბეთჰოვენი. „... სონატა“
78. მხ/ფ „შესანიშნავი შვიდეულის“ პერსონაჟი
79. შტატი აშშ-ში
80. მსახიობი ... ანდერსონი
81. კატის კიდური
82. მაქსიმ გორკი. „... სამგინის ცხოვრება“
83. გამხმარი ხილი
84. მსახიობი ... გარდნერი
85. საბჭოთა პერიოდის სატელევიზიო სატირულ-იუმორისტული ჟურნალი
86. აფრიკული ტომი
87. „დათა თუთაშხია“ მედუქნის გოგო
88. ჟამი
89. კომპოზიტორი მიქაელ ...
90. უფლის სამოსი
91. პოეტი ... მირცხულავა
92. ... წიწაკა არ გიჭამია, პირი რად გეწვის
93. ქალაქი გერმანიაში
94. თხის ძვირფასი ბეწვი
95. პურის მცხობელი ძველად
96. ახალი ... კარგად გვის
97. სიახლე ტექნიკაში
98. მულტფილმი „... დამაცადე“
99. განსაზღვრული ადგილი
100. მზის ამოსვლა
101. მომღერალი მუსლიმ ...
102. მხატვარი სანდრო ...
103. მსახიობი ... ჰილტონი
104. საფრთხის სიგნალი
105. კურორტი ბორჯომთან
106. ცეცხლის მოკიდების პროცესი
107. ზღვის ფრინველის სკორე
108. სპორტის სახეობა
109. მსახიობი კამილ ...
110. ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო
111. აქლემის ნაშიერი
112. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
113. სიმინდის ფოთლები
114. გაუვალი გზა
115. მხატვარი ანრი ...
116. სოფელი თბილისის ფარგლებში
117. ქალაქი იტალიაში
118. მისი დედაქალაქია ჰანოი
119. ინგლისური ლუდი
120. ყველაზე მაგარი მინერალი
121. ბილიარდის ჯოხი
122. თეთრი თიხის კერამიკა
123. ახალგაზრდა აცვი
124. ეგვიპტის დედაქალაქი
125. ქალაქი ფლორიდაზე
126. მარილიანი გემო
127. სამაგიდო თამაში
128. სამოთხის ბაღი
129. „... ჭკუისაგან“
130. „ილიადა“ ქალაქი
131. კონტინენტი
132. ძვ. ქართ. თამაში ქამრებით
133. გუშაგი, მცველი
134. ... ჰო, ... არა
135. ბევრ ზეთში შემწვარი კარტოფილი
136. მხატვრის ფუნჯი
137. ... პუგაჩოვა
138. ... დაიჭირავს სიკვდილსა
139. დიზაინერი ჯორჯო ...
140. წყლის ტრანსპორტი
141. ნაბიჯი ბალეტში
142. ცხენის კუდის ბალანი
143. განმუხტვა ღრუბლებში
144. ბალერინა ... ნიორაძე
145. ცელქი
146. მოთიბული ბალახი
147. ძროხის ნაშიერი
148. ქალაქი ინგლისში
149. დიდი ჩაქუჩი
150. მსახიობი ბრიუს ...

პასუხები: 1. სალიერი; 2. მესოპოტამია; 3. სტალინი; 4. გირჩა; 5. მატრიოშკა; 6. კატამარანი; 7. ოპერა; 8. მემ; 9. ვიტრინა; 10. ლაჩარი; 11. ‘არმაგედონი“; 12. იპრიტი; 13. გოპაკი; 14. კიმ; 15. კაროტინი; 16. გივი; 17. პირანია; 18. მორო; 19. ხემი; 20. ტოსკანა; 21. გნუ; 22. მესტია; 23. ხარახურა; 24. იაქე; 25. როსინანტი; 26. ბრაზილია; 27. არბიტრი; 28. კუბერტენი; 29. ნიშა; 30. ვაზი; 31. სე; 32. ქსეროქსი; 33. თხა; 34. მინა; 35. მარკონი; 36. ელბა; 37. აია; 38. იბარური; 39. ნოსტრადამუსი; 40. მანათი; 41. ვაშინგტონი; 42. პეიზაჟი; 43. ინგა; 44. ხარფუხი; 45. გოჭი; 46. ულან; 47. შალკე; 48. ხიდი; 49. ნატანები; 50. კლინტონი; 51. რაინი; 52. ალპები; 53. მაზრა; 54. მაკ; 55. არაკი; 56. ანიმე; 57. კოტ; 58. მარხილი; 59. ალუა; 60. კერკეტი; 61. ოსტატი; 62. ლუის; 63. ლიგა; 64. სათითე; 65. ტრაპი; 66. რური; 67. ვენდეტა; 68. ფონი; 69. პატრიკი; 70. აირტონ; 71. სვანეთი; 72. ნიუ; 73. პიკასო; 74. ოვაცია; 75. მატიანე; 76. იკებანა; 77. მთვარის; 78. ჩიკო; 79. აიოვა; 80. ბიბი; 81. თათი; 82. კლიმ; 83. ჩირი; 84. ავა; 85. ‘ოქროპირი“; 86. მასაი; 87. კიკუ; 88. დრო; 89. ტარივერდიევი; 90. კვართი; 91. ალიო; 92. თუ; 93. ბონი; 94. ანგორა; 95. ხაბაზი; 96. ცოცხი; 97. ნოუ-ჰაუ; 98. აბა; 99. ტერიტორია; 100. ალიონი; 101. მაგომაევი; 102. ბოტიჩელი; 103. პერის; 104. განგაში; 105. ლიკანი; 106. აალება; 107. გუანო; 108. კრივი; 109. კორო; 110. ‘ოსკარი“; 11. კოზაკი; 112. ინდიგო; 113. ფუჩეჩი; 114. ჩიხი; 115. მატისი; 116. ლილო; 117. მილანი; 118. ვიეტნამი; 119. ელი; 120. ალმასი; 121. კიი; 122. ფაიფური; 123. ჯეელი; 124. კაირო; 125. მაიამი; 126. მლაშე; 127. ნარდი; 128. ედემი; 129. ვაი; 130. ტროა; 131. აზია; 132. ლახტი; 133. დარაჯი; 134. ან; 135. ფრი; 136. ყალამი; 137. ალა; 138. ვერ; 139. არმანი; 140. ნავი; 141. პა; 142. ძუა; 143. ელვა; 144. ირმა; 145. ანცი; 146. თივა; 147. ხბო; 148. ლივერპული; 149. ურო; 150. ლი. იკითხება: ლოტოსი.

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

ლეილა ფხაკაძე და გურამ გვენცაძე თანაუგრძნობენ ქეთევან რუხაიას, ფრიდონ, ილია და ხათუნა ინჯიებს, კახი კოტრიკაძესა და ვახტანგ შევარდნაძეს მათთვის ძვირფასი ადამიანის

**ზინა ხიტირი-რუხაიას**

გარდაცვალების გამო.

შპს „ახალი ქსელების“ ქუთაისის ფილიალის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ქეთევან რუხაიას, ფრიდონ ინჯიას, ხათუნა ინჯიასა და ილია ინჯიას

**ზინა ხიტირი-რუხაიას**

გარდაცვალების გამო.

ტელეკომუნიკაციის კომპანიების „ახალი ქსელებისა“ და „ახტელის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ ილია (ბაჩი) და ქალბატონ ხათუნა ინჯიებს ბებიის, ქალბატონ

**ზინა ხიტირი-რუხაიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## მეცნიერების მტკიცებით, რეგენერაციის შესაძლებლობა ადამიანსაც აქვს




„რეგენერაცია – ცოცხალი ორგანიზმების თვისება, დროთა განმავლობაში აღიდგინოს დაზიანებული ქსოვილები, ზოგჯერ კი სრულად დაკარგული ორგანოებიც...“ – ასეთია რეგენერაციის ზუსტი მნიშვნელობა განმარტებით ლექსიკონში, რომელიც ყოველი შემთხვევისთვის მაინც მოვიშველიეთ.

ახლა, რაც შეეხება თავად სიახლეს – გამოჩნდა ამერიკელი მეცნიერების ჯგუფი, რომელიც ამტკიცებს, რომ, სხვა არსებების მსგავსად, საკუთარი სხეულის დაკარგული ნაწილების რეგენერაციის უნარი ადამიანსაც შესწევს.

მოგეხსენებათ, ცნობილი ფაქტია, რომ, მაგალითად, ხვლიკებს შეუძლიათ გარკვეული ზემოქმედების შედეგად დაკარგული კუდი დროთა განმავლობაში აღიდგინონ. გარდა ამისა, ასევე, ვხვდებით არსებებს, რომელთა შესაძლებლობებში შედის დაზიანებული გულის, ზურგის ტვინის, თვალის ქსოვილების სრულად აღდგენაც.



სწორედ საყოველთაოდ ცნობილი ამ მოვლენით დაინტერესდნენ ფილადელფიელი სპეციალისტები და აღმოაჩინეს, რომ (მართალია, თეორიულად, მაგრამ მაინც) დაზიანებული ორგანოების რეგენერაცია ადამიანების უნარების ნუსხაშიც შედის.

– ამ შესაძლებლობას ადამიანს გენი, სახელწოდებით „ერ 21“ უბლოკავს, – განმარტავენ ამერიკელი მეცნიერები. მათივე თქმით, აღნიშნული გენი ხელს უშლის არა მხოლოდ უჯრედების დაყოფა-ზრდას, არამედ ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარებასაც.

ექსპერიმენტებში სწავლულებმა მღრღნელები გამოიყენეს, რომელთაც „ერ 21“ გაუთიშეს და დაადგინეს კიდეც, რომ მათ დაზიანებული უჯრედების უმრავლესობის აღდგენა მოახერხეს, რის შესახებაც წარსულში მეცნიერებას არასოდეს სმენია.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ეს არის გრანდიოზული მიგნება გენურ ინჟინერიაში, რადგან იძლევა შესაძლებლობას მომავალში აღნიშნული გენის გათიშვით ადამიანის სხეულმა დაკარგული ქსოვილების ნაწილები თავადვე აღიდგინოს. რა გვერდითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მეთოდის დანერგვას, ჯერჯერობით უცნობია. ყოველ შემთხვევაში, მასზე არავინ არაფერს ამბობს.

*medicinform.net*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**26 სექტემბერი:** შეიძლება დღეს ცდუნებამ გძლიოთ და თქვენი საიდუმლოებები ერთბაშად „გადმოალაგოთ“. უცნობია, საამისოდ რა საბაბი გექნებათ, მაგრამ ეფექტს ნამდვილად ვერ მიაღწევთ.

**კურო 22.04-21.05**

**26 სექტემბერი:** შეეცადეთ, გულისხმიერი იყოთ და კარგად გაერკვიეთ, რა ხდება თქვენს გარშემო. შეეცადეთ, უსაფრთხოების წესები არ დაარღვიოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**26 სექტემბერი:** მართალია, ძალიან მოჭარბებული შემოქმედებითი პოტენციალი გექნებათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქმეებში წარმატებული იქნებით. ფინანსებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ მიიღოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**26 სექტემბერი:** თქვენთვის მნიშვნელოვანი მოვლენების ფონზე, რთულია თავის შეკავება. ამის მიუხედავად, არ უნდა იმოქმედოთ, თუკი გინდათ, რომ ყველაფერი თქვენს სასარგებლოდ დალაგდეს.

**ლომი 23.07-22.08**

**26 სექტემბერი:** თქვენი გმირული თავდადების შედეგები დღეს უნდა გამოჩნდეს. შეეცადეთ, უაზრო ქმედებებით ყველაფერს ხაზი არ გადაუსვათ.

**ქალწული 23.08-22.09**

**26 სექტემბერი:** შეიძლება მოვლენები ისე განვითარდეს, რომ დამსახურებული დასვენების ნაცვლად მთელი დღე ვილაცის საქმის მოგვარებაზე დახარჯოთ. არა უშავს, ამ სიკეთეს არ დაგივიწყებენ.

**სასწორი 23.09-22.10**

**26 სექტემბერი:** მიუშვით მოვლენები თვითდინებაზე და არავის არაფერზე მოსთხოვოთ განმარტებები, მაინც არაფერს გეტყვიან.

**მორიელი 23.10-21.11**

**26 სექტემბერი:** ცოტაოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ჯანმრთელობას ნამდვილად არ აწყენდა. ბოლოს და ბოლოს, საღამოს კმაყოფილი მაინც იქნებით, რომ საქმეები ბოლომდე მიიყვანეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**26 სექტემბერი:** დიდ დახმარებას გაუწევთ იმ ადამიანებს, რომლებსაც მიმდინარე მოვლენებში გარკვევა უჭირთ. თუმცა, შეიძლება საკუთარ საქმეებში მათსავით უძლური აღმოჩნდეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**26 სექტემბერი:** მთელი დღის მანძილზე ძალიან აქტიური იქნებით. თუ არ გსურთ ზედმეტად გადაიღალოთ, ვინმეს საქმის კეთებისას თავზე არ დაადგეთ, დაგასაქმებენ.

**მერწყული 20.01-18.02**

**26 სექტემბერი:** დღეს ბევრი რამ იქნება თქვენს გადაწყვეტილებებზე დამოკიდებული, ამიტომ საკითხს პასუხისმგებლობით მოეკიდეთ და ნებისმიერი პრობლემის მოსაგვარებლად მზად იყავით.

**თევზები 19.02-20.03**

**26 სექტემბერი:** იმდენად გონებამახვილი იქნებით, რომ თქვენს ახლობლებთან არსებულ გაუგებრობებს უპრობლემოდ მოაგვარებთ.

## სოციალიზმის 7 საოცრება




– ყველას ჰქონდა სამუშაო ადგილი;

– მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ადგილი ყველას ჰქონდა, არავინ მუშაობდა;

– მიუხედავად იმისა, რომ არავინ მუშაობდა, გეგმა მაინც 100 პროცენტით სრულდებოდა;

– მიუხედავად იმისა, რომ გეგმა 100 პროცენტით სრულდებოდა, მაღაზიებში არაფერი არ იყო;

– მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიებში არაფერი არ იყო, ყველას ყველაფერი ჰქონდა;

– მიუხედავად იმისა, რომ ყველას ყველაფერი ჰქონდა, ყველა ქურდობდა;

– და მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქურდობდა, ყველას ყველაფერი ჰყოფნიდა...

*uralweb.ru*

## მაღაზიებში გამოფენილი კოსმეტიკური საშუალებების სინჯებს არც კი შეეხოთ



ნებისმიერი ქალი მოხარულია, როცა მაღაზიებში კოსმეტიკურ საშუალებათა სინჯების რაოდენობა საკმარისზე მეტია, რადგან მათ ჯერ საკუთარ თავზე გამოცდის, შემდეგ კი სასურველს უფრო ადვილად შეარჩევს. კარგია, არა? ბევრი იტყვის, ცუდი ამაში არც არაფერიაო, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ იმედები უნდა გავუცრუოთ – ტესტების გამოცდა შესაძლოა, უამრავი დაავადების გაჩენით დასრულდეს.

აი, იმ დაავადებების ჩამონათვალი, რომლებითაც სავსებით შესაძლებელია, კოსმეტიკური საშუალებების სინჯებთან შეხების შემდეგ „დასაჩუქრდეთ“: კონიუნქტივიტი, ჰერპესი, ჯიბლიბო, ნაწლავის ჩხირი, სტაფილოკოკისა და სტრეპტოკოკის ბაქტერიები, ცე ჰეპატიტი... რაც ყველაზე მთავარია, ეს მხოლოდ ძალიან მოკლე სიაა იმ დაავადებების, რომლებიც მეცნიერებმა ტესტერების შემოწმების შედეგად აღმოაჩინეს. დასკვნის გამოტანა თქვენთვის მოგვინდვია.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კოტემ ქორწილის წინა დღეს თავის დასაოჯახებელ ძმაკაცებთან ერთად, ფეხბურთის ბოლოჯერ თამაში გადაწყვიტა. ჰოდა, თამაშის დროს ბურთი პირდაპირ „იქ“ მოხვდა. ნუ, ხომ ხვდებით, რა... გააქანეს ეგრევე ექიმთან და მდგომარეობა იმდენად რთული აღმოჩნდა, სასიძოს „სიამაყე“ ერთიანად „ბინტით“ შეუხვიეს...

დადგა ქორწილის დღე, ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა და სიძე-პატარძალი საძინებელშიც განმარტოვდა...

აბაზანიდან ახალგაზრდა ცოლი ნახევრად შიშველი გამოვიდა, დადგა კეკლუცად და:

– ძვირფასო, ახლა შენ მიიღებ იმას, რასაც ჯერ სხვისი ხელი არ შეხებია...

– ჰმ, გამაკვირვა! ჩემი საერთოდ შეფუთულია!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია
» 211359457
კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჟაჟვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.35